









ინკლუზიური განათლება

ფსიქოლოგიის სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და არა იმ, მართლაც რომ საშუალოზე დაბალ დონეზე ნასწავლი, 60-კრედიტიანი პროგრამისა, სადაც ყველაზე ნაკლები აქცენტი სწორედ სსსმ მოსწავლეებზე კეთდება. ვფიქრობ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მიმართ ემპათია, ფსიქოლოგზე მეტად, ვერც ერთი პროფესიის მქონე ადამიანს ვერ ექნება. თუმცა, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, სპეცმასწავლებელმა - სპეცმასწავლებლის და ფსიქოლოგმა - ფსიქოლოგის ოდესმე მართლა უნდა დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი. ადრე ფსიქოლოგად ვმუშაობდი კერძო სკოლაში, მაგრამ ახლა სპეცმასწავლებლად გადავედი საჯარო სკოლაში, რადგან დავინახე, რომ ახლა მეტი საშუალება მექნება, სქემში ჩართვით და მასწავლებელთა სახლის მიერ შემოთავაზებული ტრენინგებით, მეტი პროფესიული ინფორმაცია მივიღო და განვივითარებ. მიუხედავად ამისა, გეტყვით, რომ ამჟამინდელი მდგომარეობა ძალიან დამაფიქრებელია, რამდენად შეესაბამება ჩვენს რეალობას სამინისტროს გადაწყვეტილება? თუმცა, თავადაც კარგად იციან, რომ ამ ეტაპზე, ფსიქოლოგები უკეთესი სპეცმასწავლებლები არიან.

გასულ კვირას, ფსიქოლოგების ერთმა ჯგუფმა საქართველოს პარლამენტისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მისამართით პეტიცია გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ცვლილებები უარყოფითად აისახება ინკლუზიური განათლების (და ზოგადად განათლების) სისტემაზე და ამიტომ დაუყოვნებლივ მოითხოვენ: „კვლავ სამტატო გახდეს სკოლაში ფსიქოლოგის პოზიცია; ფსიქოლოგების, ინტეგრირებული კლასის

სპეციალური მასწავლებლებისა თუ სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტების ხელფასი გაუთანაბრდეს სპეციალური მასწავლებლის ხელფასს; ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირებს მიეცეთ სპეციალურ მასწავლებლად მუშაობის უფლება (მათი სურვილის შემთხვევაში).“

ამ მოთხოვნების გარდა, სკოლაში ინკლუზიური განათლების უკეთ ფუნქციონირებისთვის, სკოლის ფსიქოლოგთა აზრით, აუცილებელია ეტაპობრივად განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

- საჭიროების შემთხვევაში (რასაც შეაფასებს მულტიდისციპლინარული გუნდი), სკოლა ვალდებული იყოს, დაამატოს მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის და პერსონალური ასისტენტის შტატი;

- ფსიქოლოგის, ლოგოპედის, ოკუპაციური თერაპევტის და პერსონალური ასისტენტისთვის შემუშავდეს ცალკე სქემა/სქემები, მათი სამუშაოს სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე სამუშაო გამოცდილების დაანგარიშებისას, გათვალისწინებული იყოს მათი არა მხოლოდ სკოლაში მუშაობის ნდობი, არამედ ნებისმიერ დაწესებულებაში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან/მოზარდებთან, აღნიშნულ ან მსგავს პოზიციაზე, მუშაობის ნდობი; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ იზრუნოს აღნიშნული პროფესიების (ლოგოპედის, ოკუპაციური თერაპევტისა და პერსონალური ასისტენტის) პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს შესაბამისი კადრების გადამზადებას, რათა რეალურად შეძლებული გახდეს სკოლისთვის ამ პოზიციებზე კვალიფიციური კადრის მიღება.

პეტიციის ერთ-ერთი ავტორი ლიკა ბაღაშვილი ამბობს, რომ სამინისტროს მხრიდან ადეკვატური რეაგირების იმედი აქვთ, ბრძანების გადახედვასა და კონკრეტულ პასუხს ელიან. რაც შეეხება სკოლებში შექმნილ სპეცმასწავლებლის დეფიციტს,

ამას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი **სალომე ჩარკვიანი**, ჩვენთან საუბრისას, ადასტურებს და ამბობს, რომ: „დაახ, კადრების დეფიციტი მართლაც შეიქმნა, ამას **hr.gov.ge**-ზეც შენიშნავდით, მასობრივად აცხადებენ სკოლები ვაკანსიებს. თუმცა, სამინისტრო მუშაობს ამ კანონის ცვლილებაზე და დიდი იმედი მაქვს, რომ საკითხი ფსიქოლოგების სასარგებლოდ გადაწევაში. ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან, სამუშაოზე, ჩემს კომპეტენციაში არ შედის კანონის ცვლილებაზე მუშაობა.“

„თითქოს მართო ველზე მომუშავე პერსონალი დაზარალდა, თითქოს ეს მთელი ინკლუზიური განათლების სისტემის პრობლემა არ იყოს, თითქოს არ ესმის ამ ხალხს, რომ ბავშვს ასობს და ციფრებს რამენაირად ყველა ასწავლის, მაგრამ მას, ცხოვრებისთვის, სკოლაში/საზოგადოებაში ინტეგრაციასა და თავდაჯერებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დახმარება უფრო სჭირდება. არადა, ვიცო, რომ ესეც ესმით, აბა, რატომ არიან ჩუმად? ვინმემ ავციხისას, ინკლუზიური განათლების სისტემას რომ აზარალებს, ისეთი კანონის მიღება რატომ არის წინსვლა? ჯერ რა გქონდა ამ სისტემაში და ახლა, განვითარების მაგივრად, უკუსვლა რატომ მივიღეთ?“ – ამ კითხვებზე სხვა დანარჩენ ფსიქოლოგებთან ერთად, პასუხს ელის 126-ე სკოლის ყოფილი ფსიქოლოგი **თამარ ფინჭარაძე**, რომელიც, მიუხედავად სურვილისა, სკოლაში მუშაობას, კანონში შესული ცვლილების გამო, ვეღარ იწყებს.

კომპეტენტური ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილებას, მათთან ერთად, ინკლუზიური განათლების გულშემმატკვირებელიც მოუთმენლად ველით, რადგან სპეცპედაგოგის ვაკანსიები სკოლებში ყოველდღიურად იზრდება და მასწავლებლის გარეშე დარჩენილი სსსმ ბავშვები სასწავლო პროცესის მიღმა რჩებიან.

ლალი ჯეჯეაძე

აქვთიბა თაყაიშვილი – 155

ტაო-კლარჯეთის ქრონიკები

ექვთიმე თაყაიშვილის 155 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მასპინძლობს – „ტაო კლარჯეთი და ექვთიმე თაყაიშვილი“. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ისტორიკოსის, ბუბა კუდავას საჯარო ლექცია თემაზე – „ტაო-კლარჯეთი (რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი...)“, სადაც საუბარი იყო ექვთიმე თაყაიშვილის იმ განუზომელ ღვაწლზე, რომელიც მეცნიერს ტაო-კლარჯეთის ძეგლების აღწერაში მიუძღვის. ბატონმა ბუბამ ტაო-კლარჯეთში არსებულ ვითარებასა და დღემდე მოღწეული ტაძრების მდგომარეობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ ნატაძარალზე მეჩეთია ავაბული. „ექვთიმე თაყაიშვილის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ისტორიული ძეგლის, სიძველეების, ხელნაწერების, ხატების, სხვადასხვა ნივთების კვლევა და შესწავლა. მისი ამოცანა იყო მაქსიმალურად გადაერჩინა ინფორმაცია. ალბათ გრძნობდა, ინტუიციურად და ვაზარეულად, რომ იდგა და მოდიოდა მამინა ეპოქა, რომელსაც შეიძლება ემსხვერპლა ეს სიძველეები. სამწუხაროდ, ასეც მოხდა... ინფორმაცია, რაც დღეს ჩვენამდე მოვიდა, არის სწორედ მისი „არქეოლოგიური მოგზაურობების“, კვლევების, აღწერილობების და მისი სამეცნიერო ანგარიშების წყალობით“ – აღნიშნა ბატონმა ბუბამ.

\* \* \*

100 წლის წინ, 1917 წელს, სამხრეთ საქართველოში, ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ ყველაზე ცნობილი, გამორჩეული და ისტორიული ქართული სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო (ჯგუფის ხელმძღვანელი – ექვთიმე თაყაიშვილი; სამოქალაქო ინჟინერი – ანატოლი კალგინი; მხატვარი – დიმიტრი შვეარდნაძე; მოხალისე ხუროთმოძღვარი, ალბანისტი – ილია ზდანევიჩი; მხატვარი – ლადო გუდიაშვილი; მხატვარ-მხატვარი – მიხეილ ჭიაურელი; ტაო-კლარჯეთში გზამკვლევი – ალექსანდრე ციციშვილი, რომელსაც ძალიან ემადლიერებოდა ექვთიმე თაყაიშვილი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ, რეალურად, პირველად მამინა აღმოაჩინა ტაო-კლარჯეთი და მისი დიდებული არქიტექტურა.

1917 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დასრულების ფეხდაფეხ მოჰყვა რუსული ჯარი... მალე საზღვარიც ჩაიკეტა და რეგიონში ექსპედიცია თუ მოგზაურობა, მომდევნო 70-80 წელი, შეუძლებელი გახდა. ექვთიმე თაყაიშვილი გრძნობდა ისტორიული მომენტის მნიშვნელობას, ამიტომ მაქსიმალურად გამოიყენა დრო და ექსპედიციის შესაძლებლობები. „სულ იმას ვმიშობდი, ის არ დაიკარგოს, ის არ წახდეს, ყველაფერი აღვწერო, რაც შეიძლება მეტი გამოვცხადებ, ვადმოვილო, შევიძინო, შემოვანთო, შევხედე, შევქმნა, რომ შეინახოს ეს ყველაფერი-მეთქი და ასე მინდოდა ჩემი მუშაობა... სად მქონდა იმის დრო და საშუალება, რომ დავმჯდარიყავი და ნამდვილი გამოკვლევა მეწერა?! რაც მოვასწარი, ისიც მიკვირს?! როგორ არ მეზარებოდა?! როგორ ვახერხებდი ამდენ რამეს, პირდაპირ საკვირველია! ამას ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ მერე გამოჩნდებოდნენ მკვლევარები და ყველაფერს შეისწავლიდნენ“. – წერს ექვთიმე თაყაიშვილი.

„...რუსეთ-ოსმალეთის ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ფრონტის ხაზი, ხშირად, პირდაპირ შორს იყო ჩვენგან. ცისარტყელების ნაცვლად, ძირითადი არტილერიის უხილავი ყუმბარები და ხმა დაგვივლიდა... 1917 წელს ექსპედიციაში, რომლის წევრები გახლდათ ინჟინერ-არქიტექტორი ანატოლი კალიგინი, მხატვრები დიმიტრი შვეარდნაძე, მიხეილ ჭიაურელი, პოეტი ილია ზდანევიჩი და მე, ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის უშუალო

ხელმძღვანელობით, ვადმოვიღეთ ფრესკები, ასლები, ტაძრების გვერები და ფრილები ნახატები. ვაკეთოდა მულაჟი მათი ბარელიეფებისა და ა.შ. ყველაფერი ჩამოვიტანეთ თბილისში და დღეს მუზეუმის საკუთრებას შეადგენს. ექსპედიციამ ზუსტად გაარკვია, დაადგინა ტაძრების, ეკლესიების, ციხეების სახელწოდებები და ადგილმდებარეობა, რაც ამ ექსპედიციამდე უცნობი და შეუმონიშნავი იყო მეცნიერული ლიტერატურისთვის. ჩვენ ვმუშაობდით ყარსის, არტანუჯის და ოლთისის ვრცელ არეში, აქ მდებარე ძეგლთა შორის არის ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც – იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია და პარხალი. ამ დაულალავი მეცნიერის წყალობით, დაზუსტდა მათი შექმნის თარიღები, დეტალურად გაიკვინა მრავალი ნარჩენი, დადგინდა მოხსენიებული პირთა ვინაობა და სახელები; ცხადი გახდა მათი დიდი მნიშვნელობა და როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში... მე და მიხეილ ჭიაურელი დავაფოხხავდით ამ ძეგლებზე, მათ ნანგრევთა კედლებზე, იქვე ჩვენ ახლოს იდგა ექვთიმე და ვადაციცებით მოგვძახოდა: – ყმანვილებო! კარგად დააცქერდით ქორონიკონებს! თარიღის აღმნიშვნელ ასოებს. ზუსტად ამოიკითხეთ ყველა მათგანი! თვითონ როგორც „ქორონიკონი“ იდგა, დურბინდით ათვალიერებდა ამ ნიშნებს. თუ რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს ამოიკითხავდა, არადა, აქ ყველაფერი ახალი იყო... ახალგაზრდად ნამოყარებოდა, ქალაქს დროშასავით ააფრიალებდა და აღფრთოვანებით შესძახებდა: – აღმოჩენა!... ახალი აღმოჩენა!“ – ამონარიდი ლადო გუდიაშვილის წერილიდან „სამხრეთ საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად“.

\* \* \*

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საგამოფენო სივრცის ერთ ნაწილში წარმოდგენილი იყო ექვთიმე თაყაიშვილის, სამხრეთ საქართველოში მონყოლილი ექსპედიციის ამსახველი ბევრი უცნობი და საინტერესო, ტექსტური და ვიზუალური მასალა, ექსპედიციის დროს გადაღებული ფოტოები – ოშკის დასავლეთის ფსადის ორმაგი სარკმელი, ბანას ტაძრის საკურთხეველი, ოთხთა ეკლესია, პარხალი, სოფლის და ტაძრის საერთო ხედი, ხახული – საკურთხევლისა და გუმბათის კამარის მოხატულობა, იშხანი – მცირე ეკლესიის მორთულობა და ნარჩენი... ნახაზები, ნახატები, დღეს უკვე ექსპონატები, რომლებიც ფართო საზოგადოებას აქამდე არ უნახავს; ექვთიმე თაყაიშვილის ქული; ასევე დამთავლიერებელი საშუალება ჰქონდა, გასცნობოდა მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკის იმეათ ნიგნებს: მფლობელისადმი სასაჩუქრედ გადაცემული ნარჩენებით, ნიგნებს მისი მინაწერებით, თავად ექვთიმე თაყაიშვილის მიერ რედაქტირებულ ნიმუშებს – კალმით შეტანილი შენიშვნებით და შესწორებებით; განსაკუთრებით აღსანიშნავია საზღვარგარეთ, კერძოდ, პარიზში გამოცემული ნიგნების ექსპონაცია; დამთავლიერებულ შესაძლებლობა ჰქონდა, ასევე, გასცნობოდა ექვთიმე თაყაიშვილის უნიკალურ პირად ბიბლიოთეკას, რომელიც, თავის დროზე, მეცნიერმა საჩუქრად გადასცა ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. ღონისძიების მიმდინარეობისას პირველად გაუფრდა ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ დაცული კონსტანტინე გამსახურდიას, შალვა ამირანაშვილის და მიხეილ ჭიაურელის ექსკლუზიური ხმოვანი ჩანაწერები.

საგამოფენო დარბაზის მეორე მხარეს წარმოდგენილი იყო ბუბა კუდავას მიერ ტაო-კლარჯეთში გადაღებული ისტორიული ძეგლების ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი ფოტოები: ტაო – ოთხთა მონასტერი, კავკასიძეების საგვარეულო ციხე, ოთხთა ეკლესიის ციხე, იშხანი, ბანა, მამანინდის ეკლესიის გუმბათი, პარხალის მონასტერი, ხახულის ტაძარი, ოშკის ტაძარი, ოპიზის მონასტრის ნაშთები; კოლა; დადუმენის საე-



პისკოპოსო ტაძრის ნანგრევები, კლარჯეთი – ოპიზის მონასტრის ნაშთები, პარხის და ხანძთის მონასტრები და სხვა...

**ირაკლი დარბაშვილი**, თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი: „საზოგადოებას ხანდახან ავიწყდება, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, გარდა იმისა, რომ იყო წმინდანი და საგანძურის მცველი, იყო უდიდესი მეცნიერი. პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში მისი თაოსნობით მოეწყო. აღნიშნულ ღონისძიებაში სწორედ მის სამეცნიერო მოღვაწეობას გვინდა გავუსვავთ ხაზი. ექვთიმე თაყაიშვილი იყო პირველი, ვინც ჯერ კიდევ რუსული იმპერიის პერიოდში ვაბედა და დაიწყო ქართული ისტორიის „შეგროვება“ – ეძებდა, მოულოდბდა, ყიდულობდა, არქეოლოგიურ ექსპედიციებს აწყობდა... ექვთიმე თაყაიშვილი, მხოლოდ უცხოეთში ვადამალული ქართული განძი რომ დაეცვა და დაებრუნებინა სამშობლოში, ესეც ეყოფოდა საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად, მაგრამ თვით ამ საგანძურის უდიდესი ნაწილი მან ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას მოიპოვა, აღმოაჩინა და შეისყიდა“.

**მარიკა ჩხეიძე**, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომხმარებლის მოზიდვის და სერვისების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: „ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო ექსპედიციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის შესწავლისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. მათ შორის უმნიშვნელოვანესია მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტაო-კლარჯეთისთვის დაგვეთმო. ჩვენ ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ექვთიმე თაყაიშვილი დიდი მეცნიერი იყო, გარკვეულ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ მისი ღვაწლის წინაშე. ამიტომ, მეცნიერის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილ არაერთ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ“.

მომზადა მაკა ყიფინაძე





# დავიბალე ირლანდიის დესკოტური წყობის ბოლო დეკადაში, მებრამ დღეს სულ სხვა, თანამედროვე, განვითარებულ ქვეყანაში ვსხროვრობ

რამდენიმე ხნის წინ, საპარტოველოს ირლანდიელი მწერალი და ფსიქოლოგი **მიქაელ პატრიკ მულვიკილი** ეწვია. რამდენიმე წელიწადი, მიქაელი საპარტოველოს სტუმრობს, თუმცა, ამაყინდელი ვიზიტი მისი ახალი წიგნის „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“ ქართული თარგმანის პრეზენტაციას ეძღვნებოდა. ახალი გამოცემის პრეზენტაცია საპარტოველოს პარლამენტის ეროვნული გიგანტთა პარკში-ამერიკულ სამკითხველო დარბაზში გაიმართა, სადაც ეს ინტერვიუ ჩაენერათ.

ირლანდიელი ნოველისტი მიქაელ მულვიკილი 1978 წელს, დუბლინიში დაიბადა. 2003 წლიდან სწავლობდა ფსიქოლოგიას დუბლინის გიგანტისა და ხელოვნების უნივერსიტეტში, სადაც ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა, ხოლო ფსიქოლოგიაში სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ, ექიმ-კონსულტანტად დაიწყო მუშაობა. ამავე პერიოდში დაიწყო მისი სამწერლო მოღვაწეობაც და ბოთიკური ჟანრის ნიბნები „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“ და „დუბლინის დემონი“ გამოაქვეყნა. მისი მოთხრობები იბეჭდება ჟურნალში **BP**. აღსანიშნავია, რომ პროფესიით ფსიქოლოგი მიქაელ მულვიკილი განათლებით ნარკოდამოკიდებულების ფსიქოთერაპევტია, ამაყად საჯარო მოხელედ მუშაობს და კლინიკებს კონსულტაციებს უტარებს.

– მიქაელ, „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“ ჰორორის ჟანრის მიეკუთვნება, რით ახსნიდით ამას?

– სალამი ჩვენს მკითხველებს. პირველი ნაწარმოები 20 წლის წინ დავეწერე და ეს პოლიტიკურმა მოვლენებმა გამოიწვია. მე ირლანდიელი ვარ და თქვენთვის ცნობილია ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტები, იცით, რომ გასულ საუკუნეში ტერორისტული აქტები ხშირი იყო. ერთ-ერთი ასეთი ტერაქტი, 1998 წელს, ქალაქ ომაში, ირლანდიის არმიამ მოახდინა და 29 ადამიანი დაიღუპა. ყველაზე მძიმე იმის გაცნობიერება იყო, რომ ტერორისტებმა ხალხი სწორედ ბომბის მიმართულებით წაიყვანეს და ეს ადამიანები სრულიად უდანამაულოები იყვნენ. ამ მოვლენამ ყველას გაუქრო ილუზია, რომ ძალადობით პრობლემები გვარდება. ეს ჩემთვის შოკისმომგვრელი მოვლენა იყო, მაშინ გავიაზრე რა ხდებოდა და არ ვიცოდი, განცდები როგორ გადმომეცა. პირველი ლექსი სწორედ ამ დაბომბვას და მის შედეგებს მიუძღვნა. საბედნიეროდ, ცოტა ხანში, „დიდი პარასკევის, ანუ ბელფასტის შეთანხმება“ დაიდო, რამაც სამშვიდობო პროცესი დაიწყო. ადამიანის უფლებათა დარღვევები, რომელიც მანამდე ორივე მხრიდან ხდებოდა, სამშვიდობო პროცესით დაძლეულ იქნა.

რატომ ვწერ ჰორორის ჟანრში? მართალია რომ ვითხრათ, ჩვენი ისტორია გამოირჩევა სისხლითა და ბრძოლით (რამაც ცოტა საქართველოს ჰგავს). ჩვენ გამოვიარეთ შიმშილობა და გენოციდი, ამ ყველაფერმა, საბოლოოდ, აჯანყებული ხასიათი ჩამოგვიყალიბა და უსამართლობისადმი ყოველთვის პროტესტი გვაქვს. ჩვენთვის თავისუფლებისკენ სწრაფვა ფიანდაზებთი მოფენილი არ ყოფილა და ეს ყველაფერი ლიტერატურაშიც აისახა. „დრაკულას“ ავტორი, ბემ სტოკერი ირლანდიელი იყო, რაც შემთხვევით არ მოხდა. ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი თეატრის, „ლიცეუმის“ დირექტორიც გახლდათ. ბავშვობაში, 7 წლამდე ვერ დადიოდა, მოგვიანებით კი ფეხბურთელი და სპორტსმენი იყო. ბრემ სტოკერი დუბლინის ციხე-სიმაგრეშიც მუშაობდა, სწორედ ამ გარემოს აღწერს რომანში. ვამპირი „დრაკულას“ პროტოტიპები სისხლისმსმელი ფეოდალები არიან თავისი გარემოცვით, ეს გარემოცვა ირლანდიის ხრავდა და მოსახლეობას აშიშვლებდა. ასე რომ, ამ პერსონაჟს რეალბიდან ვიღებთ.

ჩვენმა მკითხველმა იცის ირლანდიის „კარტოფილის შიმშილობის“ შესახებ. ირლანდია ცნობილი იყო, როგორც მდიდარი ქვეყანა – ხორბალს, მარცვალს, სიმინდს და

ხორცს აწარმოებდა. წარმოიდგინეთ, რას შეიძლება გამოეწვია ასეთ სავსე ქვეყანაში ისეთი შიმშილი, რომ 1 მილიონი ადამიანი დაიღუპა, ხოლო მეორე მილიონი, იძულებით, ემიგრაციაში წავიდა? ამას მოჰყვა საზოგადოების დაყოფა, რაც მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ინტერესებს ემსახურებოდა. მდიდრები მხოლოდ კარტოფილით არ იკვებებოდნენ, ის ღარიბების ძირითადი საკვები იყო. საბედნიეროდ, დღეს ეს ყველაფერი მხოლოდ ქვეყნის ისტორიას შემორჩა.

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აისახა იეტსის, ჯოისის, უაილდის შემოქმედებაში...

– რა თქმა უნდა, იეტსის მოღვაწეობის შესახებ იცით, თუ რამდენი გააკეთა ირლანდიისთვის. ჯოისის ნაწარმოებებშიც ვხედავთ ირლანდიური წარსულის ასეთ ლაბირინთებს, უაილდის ზღაპრებიც კი სასევა ამ განცდით.

ჩვენი ინგლისურენოვანი ირლანდიელი მწერლები უფრო მეტად პროტესტანტული სამყაროდან მოდიან, მაგრამ მათ ინგლისელები ხშირად ბრიტანულ მწერლებსაც უწოდებენ. ზემოთ ბრემ სტოკერზე გვსაუბრეთ, ის სუფთა ირლანდიელი მწერალია თავისი განწყობებით. მისი თხრობის სტილი თბილი და ადამიანურია, მიუხედავად პერსონაჟისა. ის ჩემი საყვარელი ავტორია, ნამდვილი სიტყვის ოსტატი.

– მაიკლ, დავუბრუნდეთ თქვენს ახალ რომანს, რომელიც ჩვენს რეგიონში არსებულ რეალობას საკმაოდ ზუსტად აღწერს ისე, რომ რუსეთში არც ყოფილხართ და ამ პრობლემებს არც იცნობდით. რატომ აღწერეთ რუსეთი?

– სხვათა შორის, დუბლინიში მივიღიდი და რუსული გალობა მომესმა, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, ვფიქრობდი, რატომ მღეროდნენ აქ, ირლანდიაში. რელიგიურმა დაპირისპირებებმაც საკმაოდ უარყოფითი როლი ითამაშა ადამიანების ცხოვრებაზე. ყოველდღე ვხვდებოდი ლტოლვილებს და მათ ისტორიებს ვისმენდი. სწორედ ამ შთაბეჭდილებებით შეიქმნა ეს ნივნი – „ციმბირის ჯოჯოხეთური ხვრელი“. თქვენ იცით, მსოფლიო დღეს ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას, ყველაფერი კი სიხარბის გამო ხდება. საბჭოთა კავშირი დესპოტიური, დეპრესიული, არაფუნქციური ქვეყანა იყო. მიუხედავად ამისა, არც ის მაინცდება, რომ სხვა ქვეყნებსაც მსოფლიო დომინანტობა სურდათ. ჩვენი შესანიშნავი მწერალი, ჯორჯ ორუელიც და, მასთან ერთად, ბევრი სხვა მწერალი თუ რეჟისორი საბჭოთა კავშირით, ადამიანთა დაცულობისა და თანასწორობის იდეით მოხიბლულები იყვნენ, მაგრამ შემდეგ გაიგეს, თუ რაზე იდგა ეს ქვეყანა – სწორედ ადამიანების და-

უცვლელბასა და უთანასწორობაზე. მშრომელთა ბანაკებისა და გულაგის არსებობა ნამდვილი შოკი იყო იმ ევროპელი ხელოვნებისთვის, რომლებსაც მანამდე საბჭოთა კავშირი „მშრომელთა სამოთხე“ ეგონათ. აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცარისტებსაც მხოლოდ ადამიანების მონური მორჩილება მოსწონდათ, მეზობელი ქვეყნების დატყვევება იშვიათი არ იყო რუსეთის ისტორიაში. ჩემი ნაწარმოებიც მსგავს, მაგრამ დღევანდელ მოვლენებს ეხება. მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია მშვიდი, ბევრი განიცდის ჩავვრას და ჩემი ნაწერები მათ შესახებაც არის. ირლანდიის კულტურა მდიდარია ლეგენდებით სულგის, მკვდრებით აღდგენილების, მითოლოგიური პერსონაჟების შესახებ. ვცდილობ, არ ვიყო მწერალი, რომელიც წერით მხოლოდ საკუთარ და გამომცემლის ეგოს იკმაყოფილებს. ხშირად ხდება, რომ თანამედროვე რომანებზე მეტად, ნაფიქრ და ნაგრძობ ტექსტებს სიმღერებში ან ფილმის სცენარებში ვხვდებით. დღევანდელ ტექსტებში მილტონის „დაკარგული სამოთხე“ ძველად იხებნება.

შეიძლება ითქვას, რომ ირლანდიის კულტურა და მითები ჩემს ჰორორებში ბუნებრივად გამოვლინდა. თუმცა, ეს ჩემი პირველი ნივნი.

– იცით, რომ რუსეთის რეჟიმს ქართული გალობა აკრძალული ჰქონდა?

– მაშინ არ ვიცოდი, ახლა უკვე ვიცი, რომ თქვენ შესანიშნავი გალობა გაქვთ, თქვენც დამოუკიდებლობისთვის იბრძვით და საქართველო ირლანდიას ბუნებითაც ჰგავს. ჩემი შვილები დედას ქართველები არიან და თქვენს ქვეყანასთან მეც მშობლიური გრძობები მაკავშირებს.

– განათლებით ფსიქოლოგი ხართ, კერძოდ, ნივთიერებადამოკიდებულების თერაპევტი. ალბათ, იცით, რომ საქართველოში ახლახან მარნიზუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდა. საზოგადოებაში ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციისა და საკანონმდებლო ცვლილებების ირგვლივ დიდი დისკუსიებია.

როგორც პროფესიონალი, რას გვეტყობთ ამ თემაზე?

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ნივთიერება თუ ალკოჰოლდამოკიდებულება თავისუფლება არ არის, ეს მიჯაჭვულობაა. ნივთიერებადამოკიდებულების პრობლემა მხოლოდ მორალურობის თემა არ არის, ეს დიდი ენიგმაა, რომელსაც დღემდე იკვლევენ. თუმცა, ნარკოდამოკიდებულებს მხოლოდ უნებისყოფი ადამიანებმა დაწამავენ.



ავტორის თანახმად, ნაწარმოები საბჭოთა ფსიქიატრიისა და ფსიქონალიზის პრობლემებსაც ეხება. იგი ისე აღწერს გაუცხოებულ გარემოს, რომ ყველა პერსონაჟის ისტორია რომელიც ნაცნობ ამავეს გვაგონებს და სიზუსტით გაკვირვებასაც კი იწვევს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორი რუსეთში არასდროს ყოფილა. მიუხედავად ჰორორის ჟანრისა, ნივნი ყველაზე მხავეთი ეპიზოდები მოულოდნელი იუმორით გამოირჩევა.

განმანათლებლობის ეპოქამ დიდი წვლილი შეიტანა ნარკოდამოკიდებულების შესწავლაში და საზოგადოება გაიგო, რომ 3 სახის დამოკიდებულება არსებობს: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური. ნივთიერებადამოკიდებულება პირველ რიგში ბიოლოგიურია, ნივთიერებას ორგანიზმი ეგუება და მოითხოვს. ნივთიერებადამოკიდებულება იშვიათი არ იყო რუსეთის ისტორიაში. ჩემი ნაწარმოებიც მსგავს, მაგრამ დღევანდელ მოვლენებს ეხება. მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია მშვიდი, ბევრი განიცდის ჩავვრას და ჩემი ნაწერები მათ შესახებაც არის. ირლანდიის კულტურა მდიდარია ლეგენდებით სულგის, მკვდრებით აღდგენილების, მითოლოგიური პერსონაჟების შესახებ. ვცდილობ, არ ვიყო მწერალი, რომელიც წერით მხოლოდ საკუთარ და გამომცემლის ეგოს იკმაყოფილებს. ხშირად ხდება, რომ თანამედროვე რომანებზე მეტად, ნაფიქრ და ნაგრძობ ტექსტებს სიმღერებში ან ფილმის სცენარებში ვხვდებით. დღევანდელ ტექსტებში მილტონის „დაკარგული სამოთხე“ ძველად იხებნება.

შეიძლება ითქვას, რომ ირლანდიის კულტურა და მითები ჩემს ჰორორებში ბუნებრივად გამოვლინდა. თუმცა, ეს ჩემი პირველი ნივნი.

– იცით, რომ რუსეთის რეჟიმს ქართული გალობა აკრძალული ჰქონდა?

– მაშინ არ ვიცოდი, ახლა უკვე ვიცი, რომ თქვენ შესანიშნავი გალობა გაქვთ, თქვენც დამოუკიდებლობისთვის იბრძვით და საქართველო ირლანდიას ბუნებითაც ჰგავს. ჩემი შვილები დედას ქართველები არიან და თქვენს ქვეყანასთან მეც მშობლიური გრძობები მაკავშირებს.

– განათლებით ფსიქოლოგი ხართ, კერძოდ, ნივთიერებადამოკიდებულების თერაპევტი. ალბათ, იცით, რომ საქართველოში ახლახან მარნიზუანას მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდა. საზოგადოებაში ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციისა და საკანონმდებლო ცვლილებების ირგვლივ დიდი დისკუსიებია.

როგორც პროფესიონალი, რას გვეტყობთ ამ თემაზე?

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ნივთიერება თუ ალკოჰოლდამოკიდებულება თავისუფლება არ არის, ეს მიჯაჭვულობაა. ნივთიერებადამოკიდებულების პრობლემა მხოლოდ მორალურობის თემა არ არის, ეს დიდი ენიგმაა, რომელსაც დღემდე იკვლევენ. თუმცა, ნარკოდამოკიდებულებს მხოლოდ უნებისყოფი ადამიანებმა დაწამავენ.

საუკეთესო მეთოდი ნარკომანიისგან განკურნებისთვის გამოაფხიზლებელი დეტოქ-



სტუმარი

სიფიკაცია, ამავე დროს, მკურნალობამ ყველა ასპექტი ერთად უნდა მოიცავს: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური, ეს უნდა იყოს ყველა მიმართულებით თერაპია. მედიკოსებს შედეგის მიღებაში ხელს ისიც უშლის, როდესაც ერთხელ ჩავარდნილი მკურნალობის შემდეგ, ხელს ჩაიქნევენ. პირიქით, როცა ცხენზე ჯდომას სწავლობთ, იცით, რომ შეიძლება ჩამოვარდეთ, მაგრამ ისევ ჯდებით. მკურნალობის დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩავარდნები ზოგჯერ მეტ ბიძგს იძლევა გამოჯანმრთელებისთვის.

მკურნალობის მთავარი მიზანია, ავადმყოფობის ფარული მხარეებიც განიკურნოს, ნივთიერებადამოკიდებულებას ბევრი დაფარული მხარე აქვს. ხშირად, თვითონ მედიკოსებსაც მზადყოფნა და კვალიფიკაციის ამაღლება სჭირდებათ. მნიშვნელოვანია ისიც, როგორ ვმკურნალობთ, ინტეგრაციული თუ ჰოლისტიკური მეთოდებით.

დამოკიდებულების მიზეზად ხშირად მოწყვნილობა და ფრუსტრაცია სახელდება ღარიბ ფენებში, „ლუზერობის“ ხშირად ძახილიც იწვევს ამას, ახლობლების არაფხიზელ მდგომარეობაში ხშირად ნახვაც უწყობს ხელს. მსგავს პაციენტებთან ხშირად ვატარებდი სამოტივაციო გასაუბრებებს, რომ მთავარი მიზეზი გაგვეყო. გამოჯანმრთელების პროცესში, მათ ყველა იმ მომენტის გააზრებაში უნდა დავეხმაროთ, თუ რა იწვევს დამოკიდებულებას, რა უწყობს ხელს და რა ეხმარება გამოჯანმრთელებაში. მათ ეს არჩევანი სრულიად გაცნობიერებულად უნდა გააკეთონ. რაც მთავარია, ნივთიერებადამოკიდებულებაზე უარის თქმა სიმამაცის მოითხოვს. პაციენტი უნდა მიხვდეს, რომ წამლისგან გათავისუფლება უფრო დიდი სიმამაცია, ვიდრე მასზე დამოკიდებულება. მკურნალობა ყოველთვის პაციენტზე უნდა იყოს ორიენტირებული. მე არ მჯერა, რომ შემცველებით მკურნალობა შეიძლება, ეს იგივე დამოკიდებულებაა. მკურნალობა კომპლექსური უნდა იყოს. ჩვენს ეპოქაში ძალიან მნიშვნელოვანია ნარკოდამოკიდებულების შესახებ სრული ინფორმაციის გავრცელება. რაც უფრო ადრე აღმოვაჩენთ პრობლემას, მით უფრო მალე მოხდება მისი გადაჭრა. ამის საუკეთესო გზა პრევენციაა. საქართველოში აუცილებლად გჭირდებათ „ალკოჰოლ ანონიმუსის“ და „ნარკოტიკ ანონიმუსის“ მსგავსი სერვისები, სადაც ნებისმიერ ადამიანს ანონიმურად მკურნალობის საშუალება ექნება.

რამდენად ხერხდება პაციენტთა ანონიმურობის დაცვა ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც ირლანდია?

ირლანდიაში მსგავსი სერვისები წარმატებით მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ანონიმურობის დაცვა პატარა ქვეყანაშიც შესაძლებელია. პაციენტები მხოლოდ სახელს ამხელენ, გვარს – არა. ანონიმური ორგანიზაციები მათ პრობლემის გააზრებასა და მკურნალობის ისე დაწყებაში ეხმარებიან, რომ არც ნარკოტიკების შემცველებს შეეჩვიონ. ამავე დროს, უკვე აღვნიშნე, რომ, ხშირად, ახლობლები ხელს უწყობენ ადამიანის ნივთიერებადამოკიდებულებას ტყუილებით, ილუზიებით, დაპირებებით... სამკურნალო ცენტრ-

რებში, მათ ამ ტყუილების გარჩევასაც ასწავლიან და მომავალში თავის დაცვაც უკეთ შეუძლიათ. მკურნალობის შედეგი უნდა იყოს ისეთი პროგრამები, რომლებიც ადამიანებს საკუთარი უმწიკობის განცდას დააძლევინებს და პიროვნული განვითარების ახალი გზებს დაანახებს.

ირლანდიაში ერთ-ერთი მძიმე მოვლენა იყო ქალებზე ძალადობის ისტორიები. ცნობილია, რომ ირლანდიაში ქალები და მარტოხელა დედები ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობდნენ, მათ ბავშვებს ართმევდნენ, მონებად აშუშავებდნენ და სასიცოცხლო საფრთხეს უქმნიდნენ, ხშირი იყო ამ მიზეზით ქალების ემიგრაციაც. ბოლო წლებში, მრავალი მსგავსი ფაქტი გამოვლინდა, განსაკუთრებით, ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვების მასობრივი საფლავების სიმრავლე ეკლესიების ეზოებში. ამ ფაქტებშიც იგრძნობა ირლანდიის ისტორია. სამწუხაროდ, საქართველოში, დღესაც, ქალები იძულებული ხდებიან, ქორწინების გარეშე დაბადებული ჩვილები გარეთ, ბედის იმედად დატოვონ. მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რომ ირლანდია, დღეს, ქალებისა და ბავშვებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე დაცული ქვეყანაა, რომელიც ემიგრანტებსაც უყვართ. ირლანდია მსოფლიოში ყველაზე გულუხვი ქვეყნების ჩამონათვალში გვხვდება. როგორ მოხდა ეს, რა დაგეხმარათ ასეთი დადებითი ცვლილებების განხორციელებაში?

თავიდან, დამოუკიდებელი ირლანდია მხოლოდ სახელი იყო ქალაქზე. ჩვენ საკმაოდ მრყეული ქვეყანა გვქონდა. თუ ქალებს 26 ქვეყანაში ჰქონდათ რთული პრობლემები, განსაკუთრებით რთული მათი მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში იყო. უნდა აღვნიშნო, რომ ამ პრობლემის სათავე რელიგია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მორწმუნე ადამიანი ვარ, რელიგიის დანაშაულს ვერ უარვყოფთ. კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის დაპირისპირებამ წარმოშვა მოსახლეობის შევიწროება ორივე მხარეს. 1960 წელს, მოსახლეობის ნაწილმა უფლებების დაცვა პირველად მოითხოვა. აქ ჩნდება კითხვა, ირლანდიელებმა თვითონ ხომ არ შექმნეს ეს პრობლემები, რადგან ერთმანეთსაც დევნიდნენ? რამდენად უნდა ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა, რომ ადამიანების ჩაგვრა ჩვენი კულტურაც განაპირობებდა? ქალებზე ხომ მათივე თანამოქალაქეები ძალადობდნენ. რა თქმა უნდა, ვერ გავუქცევით სექსიზმსა და სექსტრიალურ მეთოდებს, რომელიც წარსულში გვქონდა, ოჯახებს მხოლოდ ქალები უფლებდნენ, ეკლესიის წარმომადგენლები კი ბავშვების უფლებებსაც ძალიან არღვევდნენ. პატრიარქატი მოსახლეობას აკონტროლებდა და ხშირად ძალადობისკენ მოუწოდებდა. სწორედ ამიტომ მოვიპოვეთ სექსუალიზმი, რომ მოსახლეობა დაგვეცვა.

მაგალითად, მე მყავდა მასწავლებელი, რომელმაც რამდენჯერმე მირტყა წიგნი, რადგან მის რწმენას არ ვიზიარებდი. მინდა გითხრა, რომ დღეს მსგავსი ქვეყნების ის მასწავლებელი აღარ იქნებოდა. ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა შიმშილობის პერიოდში დაიწყო, ქვეყნიდან გაქცეული ემიგრანტი



ირლანდიელების დახმარების შემოსვლით. ისინი ეხმარებოდნენ ახლობლებს, ბავშვებს. ირლანდიელები ოჯახზე ორიენტირებული და მშრომელი ხალხია. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ არასდროს გვქონია საბჭოთა კავშირის პრობლემების მსგავსი, მაგრამ გვქონდა რელიგიური პრობლემები. მას შემდეგ, რაც სეკულარიზმი გამოცხადდა, ადამიანის უფლებების მხრივ აშკარად გაუმჯობესდა ვითარება. ახლა ვფიქრობ, როდის გახდა ირლანდია ბევრად ჰუმანური ქვეყანა?

90-იანი წლების დასაწყისში, ირლანდიის ტელევიზიამ და მედიამ ყველა დარღვევების გამოქვეყნება და მოხალაქეების გამოვლენა დაიწყო, საზოგადოებაც ამოძრავდა. თვალსაჩინო გახდა ძალიან ბევრი ინსტიტუციური, სამსახურობრივი და პირადი ხასიათის ძალადობა. ამან მოვლენების გაჯანსაღებას შეუწყო ხელი. ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლა პოლიტიკული გადაწყვეტილებების პარალელურად დაიწყო, როდესაც ბრიტანეთი დამპყრობიდან თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა.

ევროკავშირის წევრობამ დიდი როლი ითამაშა ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, ჩვენი გზები დღეს ბევრად უკეთესია, ვიდრე ბავშვობაში მახსოვს. მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა განათლების დონე. ირლანდიელებმა ისწავლეს ფინანსური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, ინვესტიციების მოზიდვა რეგიონში, რომელიც ევროპის პერიფერიად ითვლებოდა. სამშვიდობო პროცესმა, რომელიც 1994 წელს დაიწყო და ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალაუფლების გადანაწილება პარლამენტის მეშვეობით გახდა შესაძლებელი, გზა გაუხსნა ამერიკულ და ევროპულ ინვესტიციებს ქვეყანაში. ამ მოვლენებამდე, უმუშევრობა ეროვნულ პრობლემა იყო, დღეს ირლანდიელთა უმრავლესობა დასაქმებულია.

თქვენს კითხვაში, ქალებისა და ბავშვების უფლებებთან დაკავშირებით, აღნიშნეთ, რომ ქალებზე ძალადობა არა მხოლოდ ირლანდიის, არამედ მთელი მსოფლიოს განხილვის თემაა. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოებაც ებრძვის ბუღინგს და ჩაგვრას. აქ გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ კოლონიალური წარ-

სულის დაძლევამ ქალებსა და ბავშვებზე ძალადობის პრობლემაც დაძლია. ისტორიულად რთულ პერიოდში, ქალები უფრო ზიანდებოდნენ, რადგან მათი მოქმედების შესაძლებლობებიც ბევრად მწირი იყო. ქალებზე ძალადობას საკუთარი სექსუალური ცხოვრების გაუცნობიერებლობაც იწვევს.

დე ველერას მმართველობის პერიოდში, ირლანდიელი მოსახლეობა ღარიბ და მშვიდი იყო, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები და მათი დედები საზოგადოებიდან გარიყულები იყვნენ, რამეთუ განსხვავებული ყველა ადამიანი პრობლემებს აწყდებოდა. ეს საშინელი ირლანდია იყო, რომელშიც ადამიანის განვითარების უფლებას არ ცნობდნენ. დღეს ეს ვითარება რადიკალურად შეცვლილია.

ადამიანებს ესმით, რომ ეს პირადი, მაგრამ არაერთგვაროვანი საკითხია და განსხვავებული ადამიანები ალიარებულია. მეც ვფიქრობ, რომ ამ ბოლო ათწლეულში, 21-ე საუკუნის მოქალაქედ ვიქცევი. მულტიკულტურალიზმი ბევრ რამეს გვასწავლის და ჩვენს თავს გარედანაც ვხედავთ. ამომრჩეველი წლიდან წლამდე უკეთეს მმართველობას და უკეთეს პოლიტიკოსებს ითხოვს. ახლა მედიცინის გაუმჯობესებაზეც ვმუშაობთ. ეს ყველაფერი რეალურად მოხდა.

ძალიან დიდი როლი შეასრულა სოციალური მედიის გავრცელებამ, ადამიანებმა გაიგეს, რომ რაღაც მხოლოდ მათ არ ემართებათ, ეს რაღაც ყველას გვაერთიანებს, რაღაცაში ერთმანეთის მოსმენა შეგვიძლია და საზოგადოება უფრო განვითარდა.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია განათლების გაუმჯობესება, ღარიბი ფენებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა ბევრად ამცირებს კონფლიქტების რიცხვს. დღეს ირლანდიის კუნძულზე მშვიდობა სუფევს. ამ გამოცდილებით, ვფიქრობ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ძალიან დაეხმარება საქართველოს მრავალი მიმართულებით განვითარებას.

მე დავიბადე ირლანდიის დესპოტური და ჩრდილოვანი წყობის ბოლო დეკადაში და დღეს სულ სხვა, თანამედროვე, განვითარებული ქვეყანაში ვცხოვრობ.

ესაუბრა მანია სიმონიშვილი

ინფორმაცია

საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში

გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე საკომიტეტო სხდომაზე საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში ლიკა ტორიკაშვილი სიტყვით გამოვიდა. მან მსოფლიოს ახალგაზრდებს გაერთიანებისკენ და მსოფლიოს გაუმჯობესებაში წვლილის შეტანისკენ მოუწოდა. ახალგაზრდობის წარმომადგენელმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელობაზე და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე.



ახალგაზრდობის წარმომადგენლის პროგრამა გაეროს ერთ-ერთ წარმატებულ ინიციატივად მიიჩნევა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, პირველად 1981 წელს, მოუწოდა წევრ ქვეყნებს, რომ ოფიციალურ დელეგაციებში ახალგაზრდა დელეგატები შეეყვანათ. ახალგაზრდობის წარმომადგენელი, სხვა ქვეყნის დელეგატებთან ერთად, ახალგაზრდების პრობლემებთან დაკავშირებულ ღონისძიებებსა და ინიციატივებს ახორციელებს.

21 წლის ლიკა ტორიკაშვილი – ატლანტის და ბენინგტონის კოლეჯების სტუდენტი (100%-იანი გრანტით), საერთაშორისო ორგანიზაცია „გაუფერადე სამყარო“ დამფუძნებელი გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის ტიტულის მფლობელია. როგორც თვითონ ამბობს, ბავშვობიდან იყო აქტიური – 14 წლის ასაკში, მეგობრებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაცია „გაუფერადე სამყარო“ ჩამოაყალიბა. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი ზუსტად იმ ადამიანებისთვის ცხოვრების გაფერადებაა, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. „გაუფერადე სამყარო“ წევრი ახალგაზრდები და სკოლის მოსწავლეები ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის, მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის და აუტიზმის მქონე არასრულწლოვნებისთვის ატარებენ აქტივობებს. მთელი საქართველოს მასშტაბით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების დასახმარებლად, სხვადასხვა ღონისძიება იმარ-

თება. როცა ლიკა ატლანტის კოლეჯში გაემგზავრა და გაიცნო ახალგაზრდები მთელი მსოფლიოდან, ამ ორგანიზაციის შესახებ მათაც უამბო. „მედეგად – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფილიალები ჩამოაყალიბეთ. ამჟამად გვაქვს ფილიალი მალაიზიასა და ფილიპინებზე; ღონისძიებები და პროექტები უკვე ჩავატარებთ საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, მოზამბიკში, სამხრეთ აფრიკასა და სხვა ქვეყნებში. ასე, ნელ-ნელა, მე და ჩემი კოლეგები, მთელ მსოფლიოს ვაფერადებთ.“ – ამბობს ლიკა.

ასამბლეაზე ახალგაზრდა წარმომადგენლები თავიანთი ქვეყნის ახალგაზრდობისთვის მნიშვნელოვან და ყველაზე აქტუალურ თემებზე საუბრობენ. საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელმაც ფეისბუქგვერდიდან – „საქართველოს წარმომადგენელი გაეროში“ – მიმართა ახალგაზრდებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, რომ დაკავშირებოდნენ და მიენერათ, რა პრობლემები აქვთ და რისი გახმავანება სურთ მალაი ტრიბუნაიდან. უკვე პრობლემების კონკრეტული მონახაზიც აქვს. ამბობს, რომ მათ შორის, განათლების საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია.

საქართველოში ახალგაზრდობის წარმომადგენლის პროგრამას საფუძველი 2012 წელს ჩაეყარა და სრულად ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან პარტნიორობით.



საუბრაბი ლიტერატურაზე

აკაკის ერთი ლექსის თაობაზე

ქართულ ლიტერატურაში ბევრია მწერალი, რომელიც სამშობლოს ტყვეობს, ქვეყნის ჭირ-ვარამსა და მავისცივებს ესმინება. მათ რიცხვშია აკაკი წერეთელიც.

აკაკი წერეთელი იყო პოეტი, რომელმაც არაერთხელ იცემა მწარე ფილა, ოღონდ კი დაეცვა მშვენიერი ქართული ენა, უნეტარესი და უტკბესი. აკაკი ვერ ურიგდებოდა მშობლიური ენის ნორმების უხემ დამახინჯებას და ხშირად კამათშიც ერთვებოდა.

ამ მხრივ საყურადღებოა აკაკის კამათი ვაჟა-ფშაველასთან, რომელსაც დიალექტზე წერას უწუნებდა, თუმცა არც ვაჟა ცყოდა.

1913 წლით არის დათარიღებული აკაკის ცნობილი ლექსი „ვაჟა-ფშაველას“. აკაკის ლექსებზე ცნობილის დამატება იქნებ ზედმეტიც იყოს, რადგან დიდი მგოსნის თითქმის ყოველ ლექსს არა თუ მის სიცოცხლეში, არამედ ჩვენს დროშიც არ დაჰკლავს მკითხველი და თავგანსმცემელი, მაგრამ ლექსი, რომელიც აკაკიმ ვაჟა-ფშაველას მიუძღვნა, განსაკუთრებით გახმაურდა, რადგან შემდეგში მას მოჰყვა ვაჟას პასუხი და სენსაციის მოყვარულ საზოგადოებაში ამ ორი დიდი პოეტის პაექრობა პოეტურ შულად და მათ შორის განხეთქილებად მიიჩნიეს.

საზოგადოების ამ თვალსაზრისს გამოხატავდა ლევან ასათიანი წიგნში „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, როდესაც წერდა: „...ასე დაიწყო ეს უაღრესად პრინციპულ ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ორ უდიდეს ქართველ პოეტს შორის.“ საუკუნეზე მეტი გვაშორებს ამ „უაღრესად პრინციპულ ნიადაგზე აღმოცენებული სამღერავის“ დასაწყისს. ხალხმა და ისტორიამ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, აკაკიც და ვაჟაც თავის დიდ მგოსნებად და ეროვნულ ჭირისუფლებად აღიარა, მაგრამ მკითხველს ის აზრი მაინც არ მოუშლია, რომ აკაკისა და ვაჟას შორის განხეთქილება არსებობდა, სერიოზული უთანხმოება, რაც ორი პოეტის ორ ცნობილ ლექსში გამოიხატა.

მაგრამ იქნებ ღირებდეს ამ დამკვიდრებული აზრის გადასინჯვა, იქნებ ერთხელ კიდევ ცვალოთ აკაკის დამოკიდებულების გარკვევა ვაჟას პოეზიის მიმართ, მის მიერ ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსის მიხედვით, რადგან ეს აკაკის ერთ-ერთი ბოლო ლექსია, და, ბუნებრივია, მის ბოლო თვალსაზრისს გამოხატავს ვაჟა-ფშაველასზე.

საკითხის ისტორიისთვის უნდა გავიხსენოთ, რომ აკაკი, როგორც დიდი სამოციანელი, პრინციპულად იბრძოდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, ებრძოდა კუთხურ პარტიკულარიზმს და საქართველოს სულიერი მთლიანობის უმთავრეს ნიშნად საერთო ქართულ სალიტერატურო ენას მიიჩნევდა.

ამ ფონზე ვაჟა-ფშაველას ენა, რომელიც, მკითხველისა და ლიტერატურული საზოგადოების აზრით, ფშაურ დიალექტს ემყარებოდა, დავას იწვევდა, თუმცა ვაჟა-ფშაველა სამართლიანად განმარტავდა, რომ ფშაურ დიალექტად მიჩნეული მეტყველება სინამდვილეში ძველ ქართულ სალიტერატურო ენას ეფუძნებოდა.

ვაჟა-ფშაველას სამწერლო ენის გამო გაჩაღებული დავა იმდენად მწვავე იყო, რომ ერთხანს „ივერიაში“ თურმე წერილებიც მიდიოდა, თუ ვაჟა-ფშაველას ნაწარების დამოქვეყნებას არ შეწყვეტენ, ვაზეთის აღარ გამოვიჩინოთ, – იმუქრებოდნენ. ამ ფონზე, აკაკის დამოკიდებულება ვაჟასადმი მეტად კორექტული იყო. აკაკის კეთილგანწყობილება თანდათან მატულობდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი წინსვლის კვლობაზე. ამას ნათლად ადასტურებს რამდენიმე ფაქტი: 1894 წელს აკაკიმ, როგორც „კვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ხელი შეუშალა ვაჟას ნაწარების დამოქვეყნებას ენობრივი პოზიციის გამო. ამ დროს აკაკის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ, თუ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ქართულზე გადავიდოდა და ფშაურ დიალექტზე წერას მიატოვებდა. აკაკის ამ მოქმედებამ ვაჟა განანწყენა, მაგრამ რაიმე საპასუხო მოქმედებისთვის არ მიუმართავს, არც საჯაროდ გამოუთქვამს პროტესტი, მხოლოდ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას მისწერა პირად წერილში: „მე თვითონ დიდ პატივს ვცემ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობაზე ამას თუ იმ სავანეზე“, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის თუ არც სხვას რომ საკუთარის თავის პატივისცემაზე ავილო ხელი, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებებზე ამა თუ იმ სავანეზე“. ამ სიტყვებში სწორედ ის ვაჟა ჩანს, რომელსაც გვიხსსიათებენ მისი თანამედროვენი – თავისი შეხედულებების სიჯიუტმდე მისული პრინციპულობით დამცველი. ამ სიტყვებში უფრო წყენა და გალიზიანება კი არ იგრძნობა აკაკის მისდამი დამოკიდებულების გამო, არამედ თავისი „შეხედულებისა“ და „მსჯელობის“ დაცვის სურვილი. ჩანს, რომ პოეტი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ენობრივ პოზიციას.

1908 წელს ვაჟა-ფშაველამ ლექსით მიულოცა აკაკის იუბილე. ამ ლექსის დასაწყისშივე, აკაკისადმი დიდად პატივისმცემელი დამოკიდებულების მიღმა, იგრძნობა ერთგვარი პოლემიკურობა, როცა ვაჟა ამბობს:

*„მშობელი ქვეყნის მოზარეც,  
უნდა გიმღერო მთურადა,  
იმავ ჭირით ვარ სნეული,  
რაც შენ გატყვიანა წყლულადა.“*

აქ ყურადღებას იქცევს სტრიქონი: „უნდა გიმღერო მთურადა“, რომლითაც პოეტი ხაზს უსვამს, რომ მას მხოლოდ „მთურად“ სიმღერა სურს და შეუძლია. თავის მშობლიურ დიალექტზე უნდა უთხრას აკაკის სამადლობელი. ამით ვაჟა შეფარვით ეპაქერება დიდ იუბილარს, თუმცა თავს მის მებრძოლად და თანამაზრედ მიიჩნევს („იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვიანა წყლულადა“). ეს პოლემიკა კიდევ უფრო მძაფრი ხდება შემდეგ სტრიქონებში:

*„თუნდ არ მოგწონდეს იქნება  
ჩემი ფანდურის ჩხაკუნე.“*

აქ ვაჟა ჭეშმარიტი რაინდის თავმდაბლობით იქცევა, რათა

ამაღლოს აკაკის პროვინება და ღვანლი, ფანდურის მოჩხაკუნე უბირ მოლექსედ წარმოადგენს თავს, თითქოს დასაშვებად მიიჩნევს, რომ დიდ მგოსანს, შესაძლოა, სწორედ ასეთი აზრი ჰქონდეს მის შესახებ და ამას ერთგვარად შეგუებულიც კი არის, თითქოს მობოდიშებით გამოხატავს თავისი გამოსვლის მიზეზს:

*„წყლულეები საქართველოსი  
გაიგო შენმა ენამა,  
მეც ამატორა ბევრჯელა  
შენს თვალზე ცრემლის დენამა.“*

ერთი სიტყვით, ამ ლექსში ერთგვარად შეჯამებულია ვაჟას დამოკიდებულება აკაკისადმი, გამეორებულია ის აზრი აკაკის პატივისცემის შესახებ, რაც პირად წერილში მისწერა ა. თუმანიშვილს.

ვაჟას აზრით, აკაკი დიდი ეროვნული პოეტი, შურყყველი ავტორიტეტი და პოეზიის მეტრი. მას აქვს თავისი საყოველთაო ცნობილი შეხედულებები, თუმცა ვაჟა ყოველთვის არ იზიარებს მათ, მაგრამ არც აკაკისთან აპირებს კამათს, არც აკაკისგან მისი ენობრივი პოზიციის კრიტიკა სწყინს, უბრალოდ აღიარებს ის ამბავი, რომ დიდი მგოსანი გაგებით არ ეკიდება მის მიერ ფშაური დიალექტის ხმარებას, რადგან უაზისოდ ვერ შეიქმნება მისი გიმირების სამყარო, არაბუნებრივნი, ნიადაგს მოწყვეტლნი გამორჩედიანი ისინი და ვერავითარ კვალს ვერ დატოვებენ მკითხველის გრძნობა-გონებაში.

ეს იყო რაინდული ქედის მოხრა აკაკის ტალანტისა და ავტორიტეტის წინაშე. ვაჟა არ ჩაბმულა მასთან კამათში, თუმცა პოლემისტური ხელოვნების დიდოსტატიც იყო და, ყველა სხვა შემთხვევაში, მტკიცედ იცავდა თავის შეხედულებებსა და პოზიციას.

გაივლის ხუთი წელი და აკაკი აქვეყნებს ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსს. ამ ლექსის დაწერის მიზეზად ვაჟას იუბილესთვის მზადებას ასახელებენ, რაც, ლექსის ანალიზიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

მართლაც, ეს ლექსი წარმოადგენს ვაჟას შემოქმედების შეფასებასა და აღიარებას, თუ არა დასაწყისის ერთი სტრიქონი: „ენას გინუნებ, ფშაველო“ – ლექსის მომდევნო სტრიქონები ვაჟა-ფშაველას პოეტური ღვანლის დაფასებას ემსახურება. აკაკი თავის უმცროს თანამებრძოლსა და კოლეგას „მარგალიტების მთესველს“ უწოდებს, თუმცა „ფშაველში“ არა ვარ ნამყოფიო, ეუბნება, მაგრამ „შენ დამიხატე ეს მხარე ფშაურის ჭკუა-გრძნობითა“. მომდევნო სტრიქონში ემოცია უფრო მძაფრდება, აკაკი გამოუტყვევდა ლექსის ადრესატს, რომ რაც არ გითქვამს შენი აღმაფრენის წყალობით, იმასაც კი მიხვდები. აქ აკაკი თავად გამოუწერს იმერულ „ყოლიფერს“ („მე თითონ მივხვდი ყოლიფერს“), მაგრამ ძნელია იმის თქმა, ეს განგებ დაუშვა, როგორც პოლემიკური დეტალი, თუ უნებლიედ გაეპარა დიალექტი.

ერთი სიტყვით, ამ ლექსში არაფერია ისეთი, რაც აკაკისგან ვაჟასადმი უპატივცემლობას ამჟღავნებს, თვით პოლემიკური სტრიქონიც: „ენას გინუნებ, ფშაველო“ იმგვარ კონტექსტშია მოქცეული, რომ არ შეიძლება ვაჟა-ფშაველას საწყენად დარჩენოდა. იგი მომდევნო სტრიქონებში „მაღალ მთის არწივსა“, „მარგალიტების მთესველად“ არის აღიარებული და, რაც უნდა პარადოქსი იყოს, მაშინ ვაჟას არც გამოუტყვევებია რაიმე უემპათიულობა ამ სტრიქონის გამო, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ არ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება.

აკაკის მიერ გამოთქმულმა შენიშვნამ, „ენას გინუნებ, ფშაველო“, ვაჟა-ფშაველას უფრო მოგვიანებით გაუღვიძა პოლემიკის სურვილი. მაინც რატომ მოხდა ასე, რომ ვაჟა-ფშაველამ მოგვიანებით უპასუხა აკაკის და თავის ლექსსაც „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ უწოდებ? უფრო მეტიც, ლექსს ეპიგრაფად ნაუძღვარა აკაკისავე სტრიქონები:

*„ენას გინუნებ, ფშაველო,  
მგოსანიო მაღალ მთისაო,  
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,  
მკითხველიც ამას მკისაო.“*

თითქოს მკითხველს ამით შეახსენა აკაკის მიერ კარგა ხნის წინათ ლექსად გამოთქმული საყვედური, ყურადღება გაამახვილებინა დიდი პოეტის ამ საპოლემიკო სიტყვებზე, რომლებიც მარტო აკაკის დამოკიდებულებას არ გამოხატავდა ვაჟას ენობრივი პოზიციისადმი.

საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ ხანებში, სიცოცხლის ბოლო წლებში, ვაჟა-ფშაველა ძალიან დიდ უსამოვნებას წააწყდა თავისი ენობრივი პოზიციის გამო, რაც მას გაუგებრობის ნაყოფად, უსამართლობად მიაჩნდა და მწვავედ განიცდიდა. უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული პოეტი გრძნობდა, რომ, მიუხედავად მკითხველთა აღიარებისა, ლიტერატურული საზოგადოების ერთი ნაწილი მას უმნიშვნელო პოეტად მიიჩნევდა. ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა იმ საღამოებისა და შეხვედრების სამზადისში, რომელიც პოეტისთვის სურდათ გაემართათ მისი პოეტური მოღვაწეობის აღსანიშნავად. თანამედროვეთა გადმოცემით, ვაჟა ამ წლებში ძალიან გულგატეხილი იყო, თავის პოეტობაზე დაცინვით ლაპარაკობდა. მაგალითად, ნინო ნაკაშიძის მოგონებით, როცა მათ ოჯახში ილია ნაკაშიძემ სცადა ვაჟას სიმღერაში აყოლიება, პოეტს მასპინძლისთვის უთქვამს: „ჯერ ვისწავლო სიმღერები, ილიკო... შენთან და ილია ქურხულთან ნამოვალე, ეზო-ეზო ვიაროთ და ვიმღეროთ, ბევრ ფულსაც მოვაგროვებთ... კარგი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა. მე ჩემი ძველი ჩოხით... ყველას თვალი ჩვენზე დარჩება, მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ის აჯობებს...“

იმავე ავტორის მოგონებით, „ნაკადულის“ რედაქციაში ვაჟას სტუმრობისას, საუბარი ჩამოვარდნილა ვაჟას ძმა სანდროზე. როცა ვაჟაგიათ, რომ, ძმებისგან განსხვავებით, სანდრომ მწერლობას არ მისდევდა და ტელეგრაფისტად მუშაობდა, ვაჟას თანამოსაუბრებებს გაკვირვება გამოუთქვამთ, მაგრამ ვაჟას რეაქცია მოულოდნელი იყო. „ვაჟამ ოდნავ ამოიოხრა, – იგონებს ნ. ნაკაშიძე – და ნელა წარმოსთქვა: – მე და ჩემმა

ღმერთმა, პოეტობას ტელეგრაფისტობა სჯობია, ჩვენ თუ პოეტები ვართ, რა ოქროს ჯილა გვადგია თავზე“.

ალექსანდრე მიქაბერიძე იგონებს ვაჟასთან შეხვედრას ლაზარეთში, სადაც მძიმედ დაფიქრებული ავადმყოფი პოეტი მას გულახდილად უამბობდა თავის გულისტკივილზე.

აი, ნაწყვეტები ამ მოგონებიდან: „გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩემი ნაწერები თავისი მხატვრული ღირებულებით არც ისე დაბალი ხარისხისაა, რომ საზოგადოებამ ქვა და გუნდა მიაყაროს, არ გამიკითხოს, არ შეიტყოს ჩემი უკანასკნელი დღეების სულისკვეთება... განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ საზოგადოება ასე დამიფიქრებდა, ასე უპატრონოდ დამტოვებდა ამ დაუძლეურების დროს...“ ვაჟას ეგ გულისტკივილი მხოლოდ ავადმყოფობისა და უძლეულების ნაყოფი არ არის, იგი უკანასკნელ წუთამდე იმედს არ კარგავდა, რომ მშობლიურ ჩარგალში დაბრუნდებოდა ლაზარეთიდან, მალე განურას ივედრებოდა, ოსტატისთვის ფანჯარა შეუკვეთია და ჩარგალში გაუგზავნია, ჩემს ქოსს უნდა ვავეუეთო, რათა ბევრი სინათლე შემოვიდეს წერის დროსო. ცოლს შეუთვალა: სათიბები საქონელმა არ წაახდინოს, მალე ამოვალ, თბვის დრო დგებაო. ერთი სიტყვით, მისი ავადმყოფობის მთელი პერიოდი აღსავსე იყო იმედითა და, აქედან გამომდინარე, მწერლური და ადამიანური საზრუნავით.

მაგრამ გულდანყვევა და მელანქოლია, საზოგადოებისგან მისი შემოქმედების დაუფასებლობის გამო, დასჩემდა პოეტს და ამას ახლოებელ ადამიანებთან არც მალავდა. ვაჟა-ფშაველა თვალნათლივ ხედავდა, რომ მისი შემოქმედება მისი დროისათვის გაუგებარი, დაუფასებელი რჩებოდა, მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა მისი ფასი, თუმცა თავადაც გადაჭარბებული წარმოდგენა არასოდეს ჰქონია თავის შემოქმედებაზე („ჩემი ნაწერები არც ისე დაბალი ხარისხისაა!“).

საზოგადოების ერთ ნაწილს კი, არ ესმოდა მისი ენობრივი პოზიცია და ვინრო კუთხურ ჩარჩოებში ჩაკეტილ მოლექსედ მიაჩნდა, რომლის თვალსაწიერი მთის პატრიარქალურ ცხოვრებისა და ადათ-წესების ნატურალურ აღწერას ვერ სცოდნებოდა. ვაჟა გრძნობდა, რომ კვდებოდა, როგორც საშუალო რანგის პოეტი, არაფრით გამორჩეული მისი დროის ბევრი სხვა ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწისგან. ამის შეგრძნებას ზედ ერთობა ჯანგაბტეხილობა და ბოლო წლების ნივთიერი გაჭირვება, რაც ისევე იმის ფიქრს აღუძრავდა, რომ მისი პოეტური მოღვაწეობა მაინცდამაინც არ სჭირდებოდათ მის თანამემამულეებს. ამიტომაც პოეტის ხელობას სიცოცხლის ბოლო წლებში ავდებით იხსენიება საზოგადოების გარემოცვაში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის შეგრძნებამ პოლემიკურად განაწყობა პოეტი არა მარტო აკაკისადმი, არამედ საერთოდ, საზოგადოების იმ ნაწილისადმი, ვისაც არ შესწევდა მისი შემოქმედების, მისი ენობრივი პოზიციის გაგებისა და დაფასების უნარი. და აი, ვაჟამ პოლემიკის ობიექტად აირჩია აკაკი – ყველაზე დიდი ფიგურა იმ დროის ლიტერატურაში, საბაბიც ჰქონდა აკაკის მიერ ნათქვამი შენიშვნის სახით – „ენას გინუნებ, ფშაველო“.

ეს ლექსი რომ მხოლოდ აკაკისადმი არ არის მიმართული, ამას თვით ლექსის ხასიათიც ადასტურებს. ამ პოლემიკის გამო სხვადასხვა აზრი არსებობს, თუმცა უმჯობესია, ისევე ვაჟას ამ ლექსის ანალიზით გამოვიტანოთ დასკვნა:

იგრძნობა, რომ პოეტი დასაწყისიდანვე მთელ საზოგადოებას, მთელ საქართველოს ელაპარაკება:

*„რადა? რა ღმერთი გამიწყრა,  
მარგალიტების მტლობელსა,  
რომ თავის უშნო ენითა  
ვერას ვაგონებ მშობელსა?“*

შემდეგ ვაჟა ეპაქერება ანონიმ ჭორიკანებს, რომლებიც მის შემოქმედებაში მხოლოდ მთის პატარა პრობლემაზე ხედავენ. მათ შორის არ არის და, რასაკვირველია, არც შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი, პირიქით, აკაკისგან ბოძებული „მარგალიტების მთესველის“ ეპითეტს ვაჟა ხილულ თუ არახილულ ჭორიკანათა წინააღმდეგ იყენებს.

*„და როცა მარგალიტს სთესავს,  
ან თუ აგვიტყობს ყორედა,  
მაინც ის არის, რაც არის,  
ჭორები მოაშორეთა.“*

მომდევნო სტრიქონებში კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა გალიზიანება იმ გულგრილი საზოგადოებისადმი, რომელსაც არ სურს ვაჟავის მას, არ სურს აღიქვას საქართველოს მესიტყვედ და ჭირისუფლად:

*„რატომ არ ჰგუობს, არ ვიცო  
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?  
აქაც ხომ ქართველები ვართ,  
ყვავილი აქაც ჰყვავისა.“*

ამ სტრიქონების ადრესატი არ შეიძლება იყოს აკაკი წერეთელი, რადგან მას არასოდეს უთქვამს, ვაჟა-ფშაველას ლექსებს ვერ ვგულობო. მისი პოზიცია ენის საკითხში უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო, ვიდრე-მხატვრულ-ესთეტიკური. ამას მოსდევს ვაჟას პოზიციის შეუვალბოა ენის საკითხში. ეს პოზიცია სრულიად უკომპრომიზისა და პოეტი მას მეტად მკაცრი ტონით ამჟღავნებს, რაც, ასევე, არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული:

*„მაინც წინ მივა, მაინცა,  
არ მემინია შარისა,  
გულს მისვენია ხატადა,  
ენა მთისა და ბარისა,  
მე არც ერთ კილოს ვარ ვსწუნობ,  
თუა ქართულის გვარისა.“*

ასევე არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული შეგონება, რომ სამშობლოს სხვა მხრიდან ემუქრება მომაკვდინებელი საფრთხე, რასაც ქართველთა დიდი ნაწილი ვერ ხედავს და ვერ მიმხვდარა:



საუბრაბი ლიტერატურაზე

„სხვა რამ მაშინებს, ისა ვთქვათ, დამხობი მზის და მთვარისა, სამშობლოს დამამხოველი და გამომჭრელი კარისა.“

ამ სტრიქონების ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად შეიძლება. ვინ იგულისხმება ამ „სამშობლოს დამამხოველ“ ძალაში: რუსეთის იმპერია? ახალი, მოდური კოსმოპოლიტური იდეები, რომელთა წინააღმდეგ ვაჟა მრავალი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი ილიას მკვლელობის შემდეგ, იბრძოდა? მაგრამ ამ ბრძოლაში ხომ აკაკიც მის გვერდით იდგა. ორივე გრძნობდა, ახალ დროში სამშობლოს ახალი საფრთხე დაემუქრა, როცა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ეპიდემიასავით მოედო რუსეთის იმპერიას და დაიწყო შეტევა ეროვნულ მოძრაობაზე. ვაჟას არც საფუძველი ჰქონდა და არც აკადრებდა აკაკის, სამშობლოს მტერზე მიეთითებინა, რადგან ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ილიასთან ერთად, აკაკიც თავის მასწავლებლად მიაჩნდა („მეც ამატირა ბევრჯელა შენს თვალზე

ცრემლთა დენამა“). დაბოლოს, ლექსის დასკვნითი სტრიქონები ერთგვარ ირონიასაც კი შეიცავს: „ნუ შეგაშინებთ, არ გაენებთ მთიდან ყვირილი ხარისა!“

ეს ირონია, ასევე, არ შეიძლება აკაკისადმი იყოს მიმართული, რადგან აკაკის არასოდეს გამოუთქვამს შიში, რომ ვაჟას ენა ზიანს მიაყენებდა საქართველოს. ის, უბრალოდ, არ იზიარებდა მის პოზიციას, თუმცა ვაჟას შემოქმედებას, როგორც აღვნიშნე, დიდად აფასებდა.

ყოველივე ამის შედეგად უნდა დავასკვნათ, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი „დაგვიანებული პასუხი აკაკის“ არის ზოგადი პოლემიკა ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილთან, იგი შორს სცილდება აკაკის ერთ სტრიქონში მოქცეულ კრიტიკას („ენას გინუნებ, ფშაველო“) და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ამ მძაფრი და უკომპრომისო გამოსვლის ობიექტად მივიჩნიოთ აკაკი. მისმა სტრიქონმა სტიმული მისცა ვაჟა-ფშაველას,

გამოეთქვა თავისი გულისწყრომა საზოგადოების იმ ნაწილისადმი, რომელმაც ვერ დაინახა და ვერ გაიგო, რომ მათ გვერდით დიდი პოეტი ცხოვრობდა. ეს ჩვეულებრივი კონფლიქტია დიდ პიროვნებასა და იმ საზოგადოებას შორის, რომელიც ვერ ამაღლებულა თავისი გენიალური პოეტის იდეების გაგებაზე, ხოლო აკაკისადმი პატივისცემა და მოწინება ვაჟამ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შემოინახა.

ელისო გაბათაშვილი თბილისის 76-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკ.წერეთლისა“;
2. აკ. წერეთლის ლექსები;
3. ვაჟა-ფშაველას ლექსები;
4. ალ. მიქაბერიძე, „მოგონებანი“;
5. ვაჟას წერილები ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისასთან.

გალაკტიონის თვალით დანახული სიყვარული

ყველა შეყვარებულს, ვისაც კი კალამი აუღია და რაიმეს დაწერა განუზრახავს, სიყვარულით შთაგონებული ლექსი უთუოდ ექნება შექმნილი. ეს მარადიული, ღირებულო, სასურველი თემაა კაცობრიობისთვის. ყველა შეყვარებულს თავისი თვალთა დანახული და შეცნობილი სიყვარულის სწამს და სჯერა. ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით, შემოქმედები ამ ღვთაებრივ გრძნობას არაჩვენებურად, განსხვავებულად აღიქვამენ და მათი გრძნობაც მეტად სენსიტიური და ემოციურია.

ქართულ პოეზიაში რუსთაველის გენიალურ მემკვიდრედ, ამ თვალსაზრისით, გალაკტიონი ტოლს არავის უდებს. იდეალური, გამოუცნობი, არაჩვენებური სიზმრებით მოცული „მარტოობის კავალერი“ (ტიციანი) სიყვარულის თავისებურ, ე.წ. გალაკტიონისეულ ფორმულირებას გვაცნობს, რომელიც ერთი შეხედვით უცნაური და დამაბნეველია. ასე, მაგალითად, როცა პოეტი წერს:

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი. ხელუხლებელი – როგორც მზის სხივი, მიუნვდომელი – როგორც ედემი“

(„რაც უფრო შორს ხარ“)

წამით დაგაფიქრებს გალაკტიონის უცნაურობაზე და გაფიქრებინებს: შორს მყოფობაში „რაა სიამე?!“ ეს ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისთვისაა გასაკვირი, თორემ გალაკტიონისთვის მიუღწეველი, მიუნვდომელი სიყვარულია ძალისა და შთაგონების მიმცემი. ის დროსავით მოუხელთებელი, ედემივით ხელმეუხებელი, ღმერთივით გამოუცნობი უნდა იყოს. რუსთაველის სიტყვები: „სიყვარულსა მალვა უნდა...“ გალაკტიონთან უცნაურად ტრანსფორმირდა: სიყვარულის ბუნებაში შედგება არც უნდა და არც საჭიროდ თვლის პოეტი. მან იცის, რომ სიყვარული ერთგვარი ბოძავაა, რომელსაც დაჯერება სჭირდება. პოეტს მოსწონს ამ ეიფორიაში ყოფნა, რომელიც მეტაფიზიკური მდგომარეობის განცდას უქმნის. იცის გალაკტიონმა, რომ „სიყვარულის გარეშე ცხოვრება მარტივია, უბრალოდ, მის გარეშე აზრს კარგავს ყველაფერი“ (ლევ ტოლსტოი), ამიტომაცაა მის „ავადმყოფ სულს“ თეთრ ანგელოზად მოვლენილი სიყვარულის ქალღმერთი შორეული ზმანებებითაც აკმაყოფილებს. სიახლოვით არ უნდა დაიმსხვრეს ოცნება, თითქოს ემინია – არ შეცდეს, არ დარჩეს ობლად და მარტოსულად.

ცნობილია, რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. ჩვენ მიერ წარმოთქმული ფრაზები ჰაერში არ განიბნევა, უკვალოდ არ რჩება. ის ადამიანის ქვეცნობიერში ღრმად იდგამს ფესვებს და თითქოს განსაზღვრავს კიდევ ჩვენს მომავალს. გალაკტიონის შემთხვევაში მით უმეტეს არ დაკარგავდა პოეტის სულიდან ამოხეთქილი და ღრმად განცდილი სიტყვები ძალასა და ენერჯიას. გალაკტიონმა თითქოს თავადვე განსაზღვრა და განჭვრიტა თავისი მომავალი.

1912 წელს გალაკტიონი ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაში შეხვდა მერი შერვაშიძეს. რუსეთის დუმის დეპუტატ პროკოფი შერვაში-

ძის ასული, 1918 წელს, დაქორწინდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის აღმოსავლეთ გიგუშა ერისთავზე და შესაბამისად, ამ ულაშაზე ქალს გალაკტიონთან სასიყვარულო ურთიერთობა არ ჰქონია. მხოლოდ გალაკტიონი იყო მისი სილამაზით აღფრთოვანებული და ეს არც იყო გასაკვირი. ეს ქალი გახდა ახალგაზრდა პოეტის მუზა და სიყვარულის ქალღმერთი, თუმცა ამასთან დაკავშირებით გალაკტიონი თავის დღიურში წერდა: „მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ჩემი ლექსი „მერი“, ძალიან ხშირად მკითხავდნენ, ვინ იყო ეს მერი, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი პასუხზე. როგორც პოეტი, მე ვსარგებლობდი უფლებით, თითოეული ლექსისთვის დამერქმია ის სახელი, რომელიც მსურდა. ერთხელ მე ამის გამო გულიც კი მომივიდა. თითქმის გაცოფებამი მოვედი და ამხანაგებმა გაიგეს, რომ მეტი აღარ შეიძლება მათი ჩაცვივება. მერი კი... ალბათ, არსებობდა. იყო ასეთი ქალი!“

1912 წელს გალაკტიონმა, ტიციანთან ერთად, შემთხვევით გაიცნო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე ოლია ოკუჯავა. ის ძველი ბოლშევიკების მიხილ (მიხილ ოკუჯავა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი იყო) და ვასილ ოკუჯავების და იყო, თავადაც სოციალისტური ხელისუფლების მომხრე და ქომაგი. პოეტი გალაკტიონი, ბუნებრივია, ამ ოჯახისთვის სასურველი სასიძო ვერ იქნებოდა. 1914 წლის 6 იანვრით დათარიღებულ წერილში გალაკტიონი ოლიას წერდა: „მე ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირი სიცივე შემქონდა ტვექსს სახლში და მინდოდა მეყვირა, რომ არავინ არ მინდა შევანუხო, რომ მხოლოდ ოლიასთან ყოფნა მინდა-მეთქი“.

1916 წელს მათ ჯვარი დაიწერეს, თუმცა მათი თანაცხოვრება ხანმოკლე და ეპიზოდური იყო. 1929-ში ოლია უზბეკეთში გადაასახლეს, საიდანაც მხოლოდ 1932 წელს დაბრუნეს. სულ რამდენიმე წელში, 1937-ში, მიმონერის უფლების გარეშე დააპატიმრეს (თბილისის ციხიდან ვლადიმირის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ – ორიოლში გადაასახლეს). ამ პერიოდში ცოლქმრის მიმონერა მეტად შეზღუდული იყო. საქმე კი იმით დამთავრდა, რომ ოლია ოკუჯავას ტროცკისტობა და მოალაპტეობის ბრალდება შეუფარდეს და მედვედევის ტყეში დახვრიტეს. ლექსში „უკანასკნელი მატარებელი“ გალაკტიონი წერდა: „ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი, გამოსალმების ხელოვნებისთვის ნუთუ არავინ არს პოეტის მეტი?“

„გალონმა შენ ბევრი განყენინა, მაგრამ გალონი ცუდი ბიჭი როდია, – გალონს შენ ძალიან, ძალიან უყვარხარ“, – წერდა გალაკტიონი ოლიას 1914 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში. „სანამა უნდობარმა“ არ დაინდო მათი სიყვარული და ცალ-ცალკე ნაპირზე გარიყა ისინი.

აღსანიშნავია, რომ ლექსი „მზეო, თიბათვისა“ პოეტმა ოლია ოკუჯავას მიუძღვნა; „მძაფრი ქართველებისაგან“ დაცვა და უფლის შენევა ნამდვილად სჭირდებოდა ქალს. 1917 წელს გალაკტიონმა ოლია მოსკოვში გააცილა. რას გრძნობდა საყვა-



რელ ადამიანთან განშორებული კაცი ან როგორი მძაფრი ემოციით აცილებდა ის ოლიას, სტრიქონებს მიღმაც იკითხება: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები. იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარა – ამას გვევდრები...“

(„მზეო თიბათვისა“)

როგორც ჩანს, შემოქმედებს განსაკუთრებული სიყვარული შეუძლიათ, ამიტომაცაა ასე ზუსტად რომ განსაზღვრავენ სიყვარულის მნიშვნელობასა და როლს კაცობრიობის აზროვნებაში. ძნელია, მოძებნო ისეთი ზუსტი ფორმულირება სიყვარულისა თუ უსიყვარულოდ არსებობისა, როგორსაც გალაკტიონი გვთავაზობს, და ჩვენც, მისი სიტყვის ძალით განვზიარებულვებს, ფრთები შეგვესხმება და უსაზღვრო ბედნიერებას განვიცდით.

1914 წელს გალაკტიონ ტაბიძე შეხვდა თავის პირველ სიყვარულს. ქუთაისში სრულიად ახალგაზრდას შეუყვარდა თავისი მასწავლებლის, რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი – რაისა. უიღბლო აღმოჩნდა ეს ურთიერთობაც. გოგონა კიევში წავიდა სასწავლებლად და იქვე დაოჯახდა. ამ ურთიერთობას უნდა უმადლოდეს ქართველი ერი ლექსს „უსიყვარულოდ“.

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ...“

სიყვარულით გაჯერებულმა სიტყვებმა მარადიულად შეაყვარა გალაკტიონი ქართველ ხალხს. არ მეგულება ადამიანი, რომელიც ამ სიტყვებს ნაიკითხავს და გულში არ მოეფერება მარტოობისთვის გაჩენილ პოეზიის მეფეს; კაცს, რომელიც სიზმრებს ხედავდა არაჩვენებურს; რომელმაც დარწმუნებით იცოდა, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა; რომ სამყაროსავით, ქვეყანასავით ერთადერთი და განუყოფელია. გალაკტიონმა ისეთი მუსტი, ძალა და ენერჯია შესძინა ქართულ სიტყვას, რომ ცოტა დაუფერებელიც კია ჩვეულებრივი მოკვდავისგან. სიცოცხლეში მარტო იყო... თითზე ჩამოსათვლელ ადამიანთან თუ ურთიერთობდა; არ ენდობოდა თუ არ ესმოდა არავისი, ან ვისთვის ეცალა გალაკტიონს, ვინ გაუგებდა მის მეოცნებე და არაჩვენებურ ტვინს?! ზოგი მურით კვდებოდა, ზოგიც არ იმჩნევდა მის გამოჩეულობას. გალაკტიონი კი წერდა, წერდა და უყვარდა...

მაია მინთიშაშვილი

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბიძე გალაკტიონ, პოეზია, გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული, ტომი I, თბილისი, 2011.





სასკოლო აქტივობა

# გაკვეთილი მუზეუმში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა საინტერესო იდეა-პროექტი შემოგვთავაზა – სამუზეუმო სამუშაო მასალების გამოყენება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტიანობისათვის (მოძღვრის ავტორი – **მაია ინასარიძე**). მუზეუმმა საგანმანათლებლო ფუნქცია მსოფლიო სივრცეში 1951 წლის იუნესკოს სემინარზე მიიღო. მუზეუმში განათლების მიღების უმთავრესი წყარო ხდება. დღეს ყურადღება ეთმობა შემოქმედებითი უნარის განვითარებას და არა – ფაქტების მშრალ ცოდნასა და გაზეპირებას. სწავლა თამაშით, შემეცნება შეხებითა და შექმნით – ეს და სხვა თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდები მუზეუმს უფრო სახიერსა და მიმზიდველს ხდის. ისტორიულ გარემოში გაკვეთილის ჩატარება რეალობის აღქმის უნარს აძლიერებს. უშუალო კონტაქტი ხელოვნების ნიმუშთან კიდევ უფრო დიდ ეფექტს ქმნის და აღძრავს სწავლის მოტივაციას, სიღრმისეულ გაგებას, შემეცნებასა და ანალიზს. ამ მიზნით ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმს „ღია ცის ქვეშ“. მოგახსენებთ, რომ „კომაროვის სკოლაში“, თბილისიდან მხოლოდ ერთი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები სწავლობენ. ისინი პანსიონში ცხოვრობენ და ერთ „პატარა დიალექტოლოგიურ კორპუსს“ ქმნიან. პანსიონში შესვლისთანავე მიხედვით, რომ მის კედლებში თავმოყრილია პატარა საქართველო, თავისი ტრადიციებითა და კუთხური მეტყველებით თავმონონებული. რომელ დიალექტს არ გაიგებთ: კახურს, გურულს, იმერულს, რაჭულს, აჭარულს... ამ მხრივ, პანსიონში უფრო ადვილია საუბარი და სწავლება, როცა საქმე სალიტერატურო ენისა და დიალექტების სწავლებას ეხება. დღეს, საქართველოში, გრამატიკის საკითხები შანიძის, კვაჭაძის, ბოლქვაძისა და აფხაზავას, არაბულის ავტორობით გამოცემულ წიგნებში ლიტერატურასთან ინტეგრირებულად ისწავლება. დიალექტებზე კი ინფორმაცია მწირია. დიალექტის მნიშვნელობა კი სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია. არნოლდ ჩიტაიას წერს: „ენა იცვლება დროსა და სივრცეში. პირველ შემთხვევაში, ენის ისტორიასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი, მის დიალექტურ ნაირსახეობასთან“. თუ მეტყველებასა და ტექსტის რედაქტირებაში დიალექტურ ფორმებს ვასწორებთ (მოვიდა-მევიდა, რა იყო?-რეია?...), მაშინ რატომ არის ის ლიტერატურაში საინტერესო, მნიშვნელოვანი? რატომ იყენებენ მწერლები დიალექტურ ფორმებს? ნუთუ აკაკი მართალი იყო, როცა დაწერა „ენას გინუნებ ფშაველო“. ეს ის კითხვებია, რომლებსაც პასუხები მოსწავლეებმა

უნდა გასცენ, ოღონდ მას შემდეგ, როცა თითოეული კილოს ნიმუშს გაეცნობიან. დიალექტი ენის ისეთი ვარიანტია, რომელიც ყოველდღიურად შეიძლება შეიცვალოს, შეიძინოს ან დაკარგოს ლექსიკა, ტოპონიმიკა, ფრაზეოლოგია... გრამატიკული ფორმები თუ სინტაქსური კონსტრუქცია, ამიტომ სინქრონული ენობრივი სიტუაციის ჩანერა, დაფიქსირება, მხოლოდ დარგის მეცნიერების კი არა, ამ ენობრივ გარემოში მცხოვრები თითოეული ადამიანის ვალი, ზოგჯერ კი დანიშნულებაა. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ექსპონირებულია 70-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა საქართველოს შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებიდან: სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, ქართლი, კახეთი და ა.შ. მუზეუმის მონახულების შემდეგ მოსწავლეები გადანიშნულნი სხვადასხვა კუთხეების მიხედვით და გვიამბეს თავიანთი კუთხის ისტორია. დაიბადა იდეაც. გადაწყვიტეთ, ალგენერა მათი კუთხის ადათ-წესები და ტრადიციები. მოსწავლეთა მონათხრობი ნათლად დავიწყეთ, თუ როგორ აისახა მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა სულიერ წყობაზე, ასევე ყოფა-ცხოვრებასა და ადათ-წესებზე... გარდა ამისა, პანსიონში დევნილი მოსწავლეებიც ცხოვრობენ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. დევნილებამ შეარყია სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობის ცხოვრების რიტმი, რასაც მოჰყვა ქალაქებისა და სოფლების ნაწილის დაცლა, დაიწყო მასობრივი მიგრაცია. მოსახლეობის ნაწილი იქ დარჩა, ნაწილი კი დედაქალაქში ჩამოვიდა, სულიერად და ფიზიკურად გატეხილი. აღწერილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვეცადეთ გაგვეჩვენოთ, თუ როგორ შეინარჩუნა ახალმა თაობამ ადათ-წესები, რა მიცვა დავიწყებას და რა არის დღემდე შემონახული. ცხოვრების დონის სწრაფ ტემპთან ერთად იკარგება ტრადიციები, ამიტომ საჭიროდ ვცანით ამ ნიმუშების, რაც შეიძლება, სწრაფად შეკრება. ჩვენი სასწავლო პროექტი, ძირითადად, დაეყრდნობა მოვლენათა ეპიკენტრში მოხვედრილი რამდენიმე ხანდაზმული ადამიანის ნაამბობს. ხანდაზმულები ისაუბრებენ გადატანილ ტკივილზე, დამცირებაზე, ადათ-წესებზე, ტრადიციებზე. როგორ შეეგუენ ახალ გარემოს, როგორ ჩამოვიდნენ, როგორ დაფუძნდნენ. ამასთანავე, ჩვენი კვლევის თანამედროვე მეთოდები იძლევა ათასობით მივიწყებული ამბის გაცოცხლებას უნიკალურ შანსს – უხუცესთა მეხსიერების აღბეჭდვას თანამედროვე ოჯახებში კომპიუტერის საშუალებით. გესურს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ელექტრონული ვერსიის შექმნა. ჩვენი მასალა, სათანადოდ დამუშავებული

და გააქტიურებული, უპრეცედენტო ნიმუში იქნება ზეპირი ტექსტების – უბრალო ადამიანების მონათხრობზე თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ადათ-წესების, ცხოვრებისეული გამოცდილების ეროვნულ კოლექტიურ მეხსიერებაში დამკვიდრებისა. ჩვენ წარმოვიდგინეთ, თუ რა ფასი ექნება ამ ვიდეომასალას, თუნდაც, ერთი საუკუნის შემდეგ. მოსწავლეები ამ კორპუსში მოისმენენ თავიანთი წინაპრის ხმას, სხვათა შორის, მსგავსი პროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს თაობათა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას. ჩვენთვის ცნობილია, რომ არნოლდ ჩიტაიას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლინგვისტური ატლასის ლაბორატორია შეიქმნა, აღნიშნული მასალების მოპოვების, დამუშავებისა და ლინგვისტური ატლასის მომზადების მიზნით. შესაძლოა ლინგვისტური ატლასი ძველი, პირვანდელი ფუნქციით და არსით აქტუალური აღარ იყოს, მაგრამ საუკუნეთა მიჯნაზე გაძლიერებული მიგრაცია-ურბანიზაციის პირობებში იმდენად სწრაფად მიმდინარეობს დიალექტთა შერევისა და დიალექტურ თავისებურებათა ნიველირების (გათანაბრების) პროცესი, რომ დღევანდელი ლინგვისტური პანორამის გადაუდებელი კარტოგრაფიული წარმოდგენა მაინც რჩება 21-ე საუკუნის ლინგვისტური პორტრეტის შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად. ლაბორატორიის ერთ-ერთი მიმართულება კი გახლავთ დიალექტური ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შეკრება და კვლევა. ამ მუშაობის საბოლოო მიზანი ლინგვისტური ატლასის შექმნაა. ამ მხრივ მოსწავლეთა ჩართულობა მეტად საინტერესო იქნება, ისინიც თავიანთ წვლილს შეიტანენ ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

**ლია გომოხინა**  
ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**გამოყენებული ლიტერატურა:**  
ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., გომოხინა ლ., მონაცემთა ბაზის დიალექტური ლექსიკის კარტოგრაფიული-სათვის.  
III კონფერენცია, ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. „ქართული ენა“, თბილისი 2005.  
კიკნაძე თ. – „მუზეუმის როგორც უწყვეტი განათლების წყარო“, მუზეუმში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), თბილისი 2012.  
თედორაძე რ. – „სალიტერატურო ენა და დიალექტები – მხატვრული და დოკუმენტური პროზა“, როგორც დამხმარე რესურსი“, <http://mastsavlebeli.ge/?p=3327>, 26.02.2015.

## ინფორმაცია

# ალმოსავლეთი პარტნიორობის რეგიონული კონფერენცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** ალმოსავლეთი პარტნიორობის სამდიონ რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლა, რომლის მიზანსაც პარტნიორ ქვეყნებს შორის, სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლების საკითხებზე გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. კონფერენცია განათლების ევროპული ფონდის (ETF) ორგანიზებით გაიმართა და მასში 6 ქვეყნის (უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ყაზახეთი) 50-მდე დელეგატი მონაწილეობდა. მინისტრის მოადგილემ, ლონისძიების ფარგლებში, კონფერენციის მონაწილეებს სამინისტროს ახალი ხედვა და სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლების მიმართულებით მიღწეული შედეგები გააცნო. ყურადღება გაამახვილა განათლების ყველა საფეხურს შორის უწყვეტი კავშირის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სამინისტროს მიერ, პროფესიული განათლების რეფორმის ძირითად ასპექტებად განსაზღვრულია: პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ზრდას-

რულთა განათლების სისტემის განვითარება, სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლების მასშტაბის ზრდა, რაც, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლის ზრდას უკავშირდება. კონფერენციის მსვლელობისას, თითოეულმა მონაწილე ქვეყანამ გამართა პრეზენტაციები, რომლებიც, სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლების კუთხით, პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების, მიღწეული შედეგებისა და პროგრესის გაზიარებას ისახავდა მიზნად. განისაზღვრა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

**იტალიური, როგორც მეორე ენა**

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** და იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, **ანტონიო ენრიკო ბარტოლიმ** ახალი პროგრამა – „იტალიური, როგორც მეორე ენა“ წარადგინეს. 2018-2019 სასწავლო წლიდან, სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეები იტალიურს, როგორც მეორე უცხოურ ენას, ისწავლიან. მათ ამის შესაძლებლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, ზოგადი განათლების სფეროში, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შემორანდუმის საფუძველზე მიეცათ. შემორანდუმის თანხმად, მხარეები ხელს უწყობენ ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც დანტერესებული არიან იტალიური ენის სწავლებით და სწავლების იტალიურ ენაზე წარმართვით. იტალიის საელჩოს ძალისხმევით და სამინისტროს მხარდაჭერით, შეიქმნა იტალიურის, როგორც მეორე ენის სტანდარტი/პროგრამა და შესაბამისად, უკვე დაიწყო იტალიური ენის სწავლება თბილისის 20 სკოლაში, მათ შორის, 13 – საჯარო, 7 – კერძო. იტალიის მხარემ ეს სკოლები უზრუნველყო სახელმძღვანელოებით, მათივე ძალისხმევით, გადამზადდნენ პედაგოგები და დამატებითი თანხა გამოიყო მათი სახელფასო ფონდისთვის. მინისტრმა ისაუბრა ევროპული ენების სწავლების გაძლიერების მნიშვნელობასა და იტალიის რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე. მისი თქმით, ენების შესწავლა არა მხოლოდ საკომუნიკაციო კომპეტენციების შექმნაა, არამედ ეს უზრუნველყოფს ქვეყნის კულტურისა და ცივილიზაციის გაცნობას, ხალხთა დამეგობ-



რებას და ურთიერთობების განვითარებას. ბატონმა ელჩმა ხაზი გაუსვა ურთიერთთანამშრომლობისა და კერძოდ, იტალიური ენის პოპულარიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯების მნიშვნელობას და მადლიერება გამოხატა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ხელს უწყობს იტალიური ენის დამკვიდრებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.



**მიხეილ ბატიაშვილი:** „ენების შესწავლა, საკომუნიკაციო კომპეტენციების შექმნის გარდა, ქვეყნის კულტურისა და ცივილიზაციის გაცნობას, ხალხთა დამეგობრებას, ურთიერთობების განვითარებას უზრუნველყოფს.“



სამინისტროს მიერ, პროფესიული განათლების რეფორმის ძირითად ასპექტებად განსაზღვრულია: პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ზრდას-



გამოსდილა

# იატაკზე ნასწავლი ბრამლეტი

განათლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სერიოზულ დამოკიდებულებას ითხოვს ადამიანებისგან. არავინ უარყოფს, რომ განათლება უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი სფეროა ადამიანის განვითარებისა და კეთილდღეობის მისაღწევად. სხვადასხვა ქვეყანასა და ეპოქაში ცოდნის შექმნასა და განათლებული ადამიანის აღზრდაზე სხვადასხვა შეხედულება არსებობდა, თუმცა, ყველას აერთიანებდა აზრი – განათლების მისაღებად საუკეთესო პერიოდი არის ბავშვობისა და მოზარდობის ხანა და ცოდნას ადამიანი საკუთარი თავის, არსის შესაცნობად უნდა იძენდეს. აქვე ყველას ესმოდა, რომ ცოდნის შექმნა, მისი საუკეთესო პერიოდის გათვალისწინებით, ითხოვს სათუთ დამოკიდებულებას, არავითარ შემთხვევაში არ ეგუება სხვადასხვა ასაკობრივი თავისებურების უგულვებელყოფას და, ამდენად, მხოლოდ ყველა ფაქტორის გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

მეცნიერები სწავლობდნენ, ბავშვობიდან მოზარდობის ჩათვლით, ადამიანთა განწყობებს, გარემოს აღქმისა და მის მიმართ დამოკიდებულების თავისებურებებს; აკვირდებოდნენ ბავშვის სურვილებსა და მზაობას, აღექვა სამყარო. დაასკვნეს კიდევ: რაც ბავშვის ირგვლივაა, რაც მისი თვალთახედვის არეშია მოქცეული, დიდწილად განაპი-



რობებს მის განვითარებას. ამიტომაც სასკოლო გარემო და ისეთი აქტივობების გამოყენება, რომლებიც სასიამოვნო გარემოს უქმნიან მოზარდებს, უპირობოდ უმნიშვნელოვანესია.

ვინ ქმნის საკლასო ოთახში გარემოს? გარემოს რომელი ფაქტორები ზემოქმედებენ სასწავლო პროცესის წარმატებაზე? რა სივრცეა სასურველი პირადი, ჯგუფისა და კლასის კომფორტისათვის? – ამ კითხვებზე პასუხს მუდმივად ეძებენ მეცნიერი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი პედაგოგები, ეძებენ ყველა ქვეყანაში, სადაც ბავშვის ინტერესი ყველაზე მნიშვნელოვანია. ვეძებ ჩვენც, თუმცა, ძირითადად, ვყვრდებით წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნების გამოცდილებას. რა თქმა უნდა, იქ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი სახელე ინერგება, მათ შორის საკლასო და სასკოლო გარემოს გაუმჯობესების კუთხითაც, რომელთა დანერგვა ახალისებს და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს მოსწავლისათვის. ხშირად, სხვადასხვა ინტერნეტსივრცეებიდან, გადმოგვყვრებენ ბედნიერი ბავშვები, რომელთათვისაც სკოლა გასართობი ადგილიცაა, შემეცნებითი თან ერთად. ისინი სწავლობენ სახალისო აქტივობებით, სახალისო გარემოში, აქვთ დასვენების, განტვირთვის შესაძლებლობა და უდიდესი რესურსი, რომლის უგულვებელყოფა შეუძლებელია.



საქართველოში საჯარო სკოლები ვერ დაიკვეხნიან სასწავლო რესურსის მრავალფეროვნებით, დიდი და მრავალმხრივი ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით, ზოგჯერ მასწავლებლის ერთადერთი რესურსი სახელმძღვანელო, ცარცი და დაფაა! მაგრამ ბავშვი ჩვენთანაც ისეთივე ზის, როგორც ამერიკის, ინგლისის, კანადის, სინგაპურისა და სხვა ქვეყნების ელიტარულ სკოლებშიც კი. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, საგანმანათლებლო სივრცეებში ეფექტური გაკვეთილისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ერთნაირი გვაქვს – ბავშვი!

რა გვიშლის ხელს ჩვენ? რატომ გვიჭირს, ცვალოთ თვითონაც, მოვიგონოთ, ვიფანტავიოროთ, შევთხზათ და მარცხის არ შეგვეშინდეს? არავითარი რეცეპტი არ არის უდავო და აუცილებლად წარმატებული ყველა ქვეყნის, ქალაქის და გარემოსთვის, რადგან ბავშვი ყველაზე ცოცხალი, არაპროგნოზირებადი და დინამიკური არსებობს. თუ არ ვცდით კონკრეტულ სიახლეს, არ გავზომავთ მის ეფექტურობას სასწავლო პროცესში, არ დავაკვირდებით გარემოს ცვლილების ზეგავლენას ჩვენს მოსწავლეებზე, მაშინ არც შედეგი გვაქნება უკეთესი და ხშირად სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი გაკვეთილებიდან ვერც ვერაფერს ნაიღებენ მოსწავლეები. ზოგჯერ, საკლასო გარემოს შესაცვლელად, უმცირესი რესურსიც საკმარისია: პატარა ბალიში, მოსწავლე, მასწავლებელი, ხელები, იატაკი და გრამატიკა, რომელიც არც არასდროს ისწავლებოდა ხალისით და, მით უმეტეს, ახლა, როცა სასკოლო პროგრამებშიც კი არ აქვს შესაფერისი ადგილი.

მეთოდი, რომელსაც VII კლასის მოსწავლეებთან ვიყენებ, ძირითადად, საკლასო გარემოზეა დაფუძნებული. მეტყველებების ნაწილების შესწავლა ასე კომფორტულია. ნაცვალსახელების შესწავლამდე, გამოვიყენე მეთოდი „წრეში სიტყვა“, რომელიც ეფექტურად მუშაობს გრამატიკის ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას.

### გთავაზობთ ერთი გაკვეთილის ნიმუშს

**წინარე ცოდნა** – მოსწავლეებმა იციან მეტყველების ნაწილების რაობა, შესწავლილი აქვთ არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები. იციან პირის ნაცვალსახელები.

**მიზანი** – შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელთა სხვა ჯგუფების იდენტიფიცირება და კლასიფიცირება.

#### კავშირი ეს-სთან:

**ქართ. VII. 5.** მოსწავლეს შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.  
**ქართ. VII. 6.** მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების ამოცნობა და შესაბამისად გამოყენება.

#### მიმდინარეობა:

1. მოსწავლეები და მასწავლებელი სხდებიან წრეზე, იატაკზე მცირე ზომის ბალიშებზე, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ;

2. წრის შუაში დევს გრამატიკის სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურადაა მოცემული ნაცვალსახელების კლასიფიკაცია;

3. მასწავლებელი მარჯვნივ მჯდომ მოსწავლეს ეუბნება ნებისმიერ ნაცვალსახელს, მაგალითად, „მე“;

4. პირველი მოსწავლე, ამ ნაცვალსახელის, გარდა ნებისმიერ სხვას ეუბნება გვერდით მჯდომს, მაგალითად, „ჩვენ“, „თქვენ“;

5. ასე გრძელდება მანამ, სანამ არ ამოეწურებათ მარაგი (გამეორება დაუშვებელია);

6. რომელ მოსწავლესაც ამოეწურება მარაგი, ის იღებს დავალებას, დაასახელოს ნებისმიერი არსებითი სახელი (მაგალითად, „კაცი“);

7. მომდევნო მოსწავლემ უნდა შეცვალოს დასახელებული არსებითი სახელი ნაცვალსახელით (მაგალითად „კაცი“ > „ვილაც“ „მე“ > „ჩემი“, „წიგნი“ > „ეს“ და სხვ.);

8. ისევ გაჩერდება რომელიმე მოსწავლე, მასაც ექნება დავალება, დაასახელოს ნებისმიერი არსებითი სახელი (შესაძლოა სხვა სახელიც), რომელსაც მომდევნო მოსწავლე შეუსაბამებს ნაცვალსახელს;

9. ის მოსწავლე, რომელიც ვერ შეძლებს დავალების შესრულებას, შედის შიდა წრეში, რამდენი მოსწავლეც ვერ ახერხებს შესაბამისი ნაცვალსახელის მოძებნას, იმდენი ემატება შიდა წრეს;

10. შიდა წრეზე მოქცეულ მოსწავლეებს პირველებს ექნებათ წვდომა ახალ მასალაზე სახელმძღვანელოში. ისინი კითხულობენ მასწავლებლის მიერ წინასწარ ჩანიშნულ პარაგრაფს;

11. შიდა წრის მოსწავლეები ხდებიან გარე წრეზე მყოფი მოსწავლეების დამხმარეები (მას შემდეგ, რაც შიდა წრე კითხულობს პარაგრაფს);

12. გარე წრის მოსწავლეები იყენებენ თანაკლასელების დახმარებას;

13. თუ მოსწავლე, გარე წრის დახმარებითაც, ვერ შეასრულებს დავალებას, ანუ არავის შეეძლება სწორი პასუხის ჩამოყალიბება, ითხოვენ დახმარებას მასწავლებლისგან, იატაკზე ხელების ბრაზუნით;

14. მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს და მათ უკვე პრაქტიკულად შეუძლიათ დააჯგუფონ ნაცვალსახელები შინაარსის მიხედვით: პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი და სხვ.

\*\*\*

ამის მსგავსად შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილების ან, ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებში, სხვადასხვა დავალების შესრულება პრინციპით: **დიდი წრიდან შიდა წრეზე შედიან მოსწავლეები, რომლებიც იყენებენ სახელმძღვანელოს ან რომელიმე სხვა რესურსს, იგებენ თვითონაც და ეხმარებიან თანაკლასელებს; აქვთ მარტივი და თანამშრომლობითი კომუნიკაცია, სწავლობენ ხალისით.**

და თუ დაილაღნენ, გაიმარტივეთ საქმე, მიეცით მათ ნუთ-შესვენება, იატაკზე გაგორების საშუალება, მოასმენინეთ სასიამოვნო მუსიკა. განა ასე არ მოიქცეოდნენ საკუთარ სახლში, მეგობრებთან თამაშის დროს? ბუნებრივი ქცევები ხელს უწყობს ბავშვებს სკოლის მიღებაში, საკუთარი კომფორტის ზონად აღქმაში, რეალიზაციის ადგილად წარმოდგენაში და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ ნდობას, რომელზე მეტი არც არაფერია ადამიანურ ურთიერთობაში.

#### თამარ ქუთათილაძე

სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, ქართული ენა და ლიტერატურა. 2011-2016.
2. დიმიტრი უზნაძე, განწყობის თეორია. 1966.
3. <https://www.facebook.com/OSD.BES/BramlettElementarySchool>.



მათემატიკის სწავლებისთვის

ორობითი პოზიციური სისტემა

შეკრების ოპერაცია (სიმბოლო +) და ციფრი 1 წარმოადგენენ შემდეგი უსასრულო გამოსახულებების (ნატურალური რიცხვების) მიღების წყაროს:

1, 1+1, 1+1+1, 1+1+1+1, ..... (1)

ამის შემდეგ დგება საკითხი:

როგორ ჩავენროთ (1) გამოსახულებები უფრო მარტივად?

ამისათვის შემოვიღოთ ორი სიმბოლო - 0 და 1 - და, მათი ურთიერთმდებარეობის (პოზიციის) გათვალისწინებით, ჩავენროთ (1) გამოსახულებები.

მარანი №2

შევექმნათ აბსტრაქტული მარანი №2. ამ მარანში ბოთლები განლაგებულია სიბრტყეზე, სვეტებში (მარჯვნიდან მარცხნივ). მარჯვნივ არის სვეტი №0, შემდეგ სვეტი №1, ...

....., სვეტი №1, სვეტი №0.

ამ მარანში (მოდელში) მოქმედებს შემდეგი წესები:

A. ნებისმიერ სვეტში არის ერთი და იმავე ტევადობის ბოთლები. სვეტ №0-ში არის 1 ტევადობის ბოთლები.

B. ნებისმიერი ბოთლი უნდა იყოს ან ცარიელი, ან სავსე.

C. ბოთლების ტევადობები ისეა შერჩეული, რომ თუ რომელიმე სვეტში აივსო 1+1 ბოთლი, მაშინ ეს აუცილებლად იწვევს მომდევნო სვეტის 1 ბოთლის ავსებას (სავსე ბოთლების რაოდენობა ყოველთვის მინიმალური იქნება).

ახლა დავამყაროთ ურთიერთცალკასა შესაბამისობა (1) გამოსახულებებსა და ჩვენს მოდელის ელემენტებს შორის.

0 = 0, 1 = ●, 10 = ●0, 11 = ●●, 100 = ●00, .....

გამოვთვალოთ 1+1, ამისათვის გადავდივართ ჩვენს მოდელში მის შესაბამის თვალსაჩინოებაზე და, მისი გამარტივების შემდეგ (A, B და C წესებით), მივიღებთ მის შესაბამის რიცხვს. გვექნება (მარჯვნიდან მარცხნივ)

10 = ●0 = ●0 = ●● = ●+● = 1+1, ამრიგად 1+1=10

11 = ●● = ●● = ●● = ●+●+● = 1+1+1, 1+1+1=11.

შევეკრიბოთ 101+11,

1 000 = ●000 = ●000 = ●000 = ●●00 = ●●00 = 101+11

კავშირი ორობით და ათობით სისტემებს შორის

მაგალითი. 5 ჩავენროთ ორობით სისტემაში (მარჯვნიდან მარცხნივ). რიცხვ 5-ს ჩვენს მოდელში შესაბამეობა სვეტი №0-ში 5 ბოთლის ავსება. ამის შემდეგ გამოვიყენოთ მარანი №2-ის A, B და C წესები.

1012 = ●0● = ●● = ●● = 5

მაგალითი. 7 ჩავენროთ ორობით სისტემაში. რიცხვ 7-ს ჩვენს მოდელში შესაბამეობა

სვეტი №0-ში 7 ბოთლის ავსება და რადგან 7 = 2 \* 3 + 1, ამიტომ სვეტი №0-ში სავსე დარჩება 1 ბოთლი (რადგან ნაშთი 1-ის ტოლია);

სვეტი №1-ში აივსება 3 ბოთლი (რადგან განაყოფი 3-ის ტოლია) 3 = 2 \* 1 + 1, ამიტომ სვეტი №1-ში სავსე დარჩება 1 ბოთლი (რადგან ნაშთი 1-ის ტოლია);

სვეტი №2-ში აივსება 1 ბოთლი (რადგან განაყოფი 1-ის

ტოლია) 1 = 2 \* 0 + 1, ამიტომ სვეტი №2-ში სავსე დარჩება 1 ბოთლი (რადგან ნაშთი 1-ის ტოლია);

სვეტი №3-ში აივსება 0 ბოთლი (რადგან განაყოფი 0-ის ტოლია)

111 = ●●● = ●●● = ●●● = 7

1 = 2 \* 0 + 1, 3 = 2 \* 1 + 1, 7 = 2 \* 3 + 1, 7 მაგალითი. რიცხვი 10 1012 ჩავენროთ ათობით სისტემაში. 12 = ● = 20

102 = ●0 = ●● = 21,

1002 = ●00 = ●0 = ●● = 22, ამიტომ:

101012 = 1\*24 + 0\*23 + 1\*22 + 0\*21 + 1\*20 = 16+0+4+0+1=21 ანალოგიურად შეგვიძლია შევექმნათ ნებისმიერი პოზიციური სისტემა.

სავარჯიშო. შექმენით მარანი №3.

სავარჯიშო. მოცემულია 4 ყუთი, თითოეულში - 10 მონეტა. ნებისმიერ ყუთში ყველა მონეტა არის 3გრ ან 4გრ. თითოეული ყუთიდან იღებენ გარკვეული რაოდენობის მონეტას და წონიან. როგორ გავიგოთ, ერთი ანონებით, რომელ ყუთში რა მასის მონეტაა?

ახალი ძარჩა

ბუგდიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინდის საჯარო სკოლა

რეპორტი

აფხაზური ენის თვითმასწავლებლის კრეატივობა ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე



ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე აფხაზეთის თემატიკაზე (მუსიკა, კულტურული მემკვიდრეობა, მეცნიერება და ა.შ.) გამოცემული როგორც ქართულენოვანი, ისე აფხაზურ ენაზე თარგმნილი ლიტერატურა გამოიფინა.

აქვე გაიმართა აფხაზური ენის თვითმასწავლებლის - ანი-მაციური ელექტრონული სასაუბრო პროგრამის „ვისწავლოთ აფხაზური ენა - ზეპირმეტყველება“ პრეზენტაცია. ელექტრონული სასაუბრო, სპეციალური პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით, შეიქმნა. აფხაზური ენის თვითმასწავლებლის საშუალებით, ნებისმიერ მსურველს, შეუძლია ისწავლოს აფხაზური ენა. აფხაზური ენა საქართველოს მეორე სახელმწიფო ენაა, აფხაზეთის ტერიტორიაზე, და საქართველოს ხელისუფლება ამის განვითარებაზე მუდმივად ზრუნავს. ყოველივე ამის თაობაზე ინფორმაცია მიენიჭა ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობის სტუმრებს.

აფხაზეთის თემატიკის ამსახველი ქართული და აფხაზური გამოცემებით წარმოდგენილ კუთხეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია მასპინძლობდა.



აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთის კულტურულ ფასეულობებზე ზრუნვა და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობა. რუსეთის მიერ განხორციელებული ვანდალური აქტების შედეგად, აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის პირვანდელ სახეს. აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად, ჩვენ მკვლევრებს არ აქვთ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მონახულებისა და კვლევის საშუალების ჩატარების შესაძლებლობა.

ამ მიზნით, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტის ფარგლებში, ამავე სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ, ითარგმნა და გამოიცა ლევან რჩეულიშვილის წიგნი - „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში“. ნაშრომში განხილულია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ძეგლები. ლევან (ლეო) რჩეულიშვილის გამოცემა - „VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში“ - წარმოდგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, ხელახალი გამოცემის რეზიუმე, ასევე, ითარგმნა გერმანულიდან ინგლისურ ენაზე. ხელახალი გამოცემის მთავარი რედაქტორია დიმიტრი თუმანიშვილი, გამოცემის რედაქტორები - ირაკლი გელენავა, გიორგი პატაშვილი და ქეთევან დავითაია.

გარდა ამისა, სამინისტრომ, კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით, გამოიცა ალბომი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი - მოკლე მიმოხილვა“, რომელშიც შესულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურის, მცირე ხელოვნების (რელიეფები, ჭედურობა) და ხელნაწერების ნიმუშები, მათ შორის, ამავე ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების ილუსტრაციები. ალბომში აფხაზეთის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენილია უახლესი ფოტომასალით. „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთი - მოკლე მიმოხილვა“ წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, ტექსტის ავტორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლია ახალაძე.

ალსანიშნავია, რომ ეს გამოცემები წარმოდგენილი იყო ქალაქ ფრანკფურტში გამართულ ნიგნის ბაზრობაზე. გამოცემების მიზანია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქვემო სილახიის დელეგაციის ვიზიტი ბათუმში

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მინისტრი ინგა შამილიშვილი შეხვდა ქვემო სილახიის საგანმანათლებლო პროგრამის ინკლუზიური პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მათი დამკვიდრების ხელშეწყობა სამუზეუმო სივრცეში. პროექტი ხორციელდება ორგანიზაცია „ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისთვის“ ინიცირებითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

და სილახიის მასწავლებელთა ცენტრის დირექტორს, იოლანტა შვედოვსკას, მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს, ევა ნორკოვსკას და ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს - კაცპერ კოჩიუმბასსა და შიმონ ბოროვას. შეხვედრას ესწრებოდა ქვემო სილახიის დელეგაციის მასპინძელი, ბათუმის განათლებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელი მაია ქათამაძე.

შეხვედრაზე ის ერთობლივი პროექტები განიხილეს, რომლებიც აჭარის რეგიონსა და ქვემო სილახიის საგოგონოს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. შედგა ქართული და პოლონური თეატრალური დასებისა და ფოკლორული ანსამბლების გასტროლები; გაიმართა, ამავე თანამშრომლობის ფარგლებში, ქვემო სილახიასა და აჭარის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმების ჩვენება, მუზეუმების თანამშრომლების გაცვლითი სასწავლო ვიზიტები, გამოფენები, ერთობლივი პლენერები, საგანმანათლებლო პროგრამები და სხვ.

მინისტრმა ინგა შამილიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ დელეგაციის ვიზიტი ხელს შეუწყობს ბათუმსა და პოლონეთს შორის უკვე არსებული აქტიური პარტნიორობისა და მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამის კრეატივობა

11 ოქტომბერს, ბათუმის ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში გაიმართა ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამის - „მე და ჩემი სახლი“ პრეზენტაცია, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თეონა ბერიძე დაესწრო.

ლონისძიებში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. ინკლუზიური-საგანმანათლებლო პროექტის მიზანია ინკლუზიური პროგრამების შემუშავება, განხორციელება და მათი დამკვიდრების ხელშეწყობა სამუზეუმო სივრცეში. პროექტი ხორციელდება ორგანიზაცია „ხელოვნება საზოგადოებრივი ინტერესებისთვის“ ინიცირებითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.





# მსოფლიო ჩემპიონატმა წარმატებით ჩაიარა



12-14 ოქტომბერს თბილისში, სპორტის ოლიმპიურ სასახლეში ჩატარდა ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც ფაქტობრივად, უმაყურებლოდ, მაგრამ მაინც დიდი წარმატებით ჩაიარა. სამწუხაროდ, მაყურებელი კანტი-კუნტად ესწრებოდა ამ საკმაოდ ძლიერ შეჯიბრებას და დარბაზში სპორტსმენები ისხდნენ. ვფიქრობთ, ჩემპიონატს საინფორმაციო მხარდაჭერა და გაშუქებაც აკლდა, თუმცა, ამ ხარვეზებს ხელი არ შეუშლია, მასპინძლებს საორგანიზაციო საკითხებისთვის კარგად გაერთვით თავი. თამამად შეიძლება ითქვას, თბილისმა ღირსეულად გაართვა თავი ასეთი მაღალი რანგის ტურნირის ჩატარებას და სამბოს მსოფლიოსა თუ ევროპული ფედერაციების ერთსულოვანი მონონება დაიმსახურა.

მსოფლიო ჩემპიონატში აზიის, ევროპის, სამხრეთ და ჩრდილო ამერიკის 31 ქვეყანა მონაწილეობდა. არაპოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის საქართველო ეგზოტიკა აღმოჩნდა, ყოფილი პოსტსაბჭოელებისთვის კი – ტყბილ წარსულთან დაბრუნება თავისი ისტორიით, კულტურით, ბუნებით, ქართული სუფრით, ღვინით, ცეცხლოვანი ქართული ცეკვებითა და „სულიკოთი“, რომელსაც ძველებურად ინერდნენ (ოღონდ ამჯერად – ტელეფონით) სამშობლოში წასაღებად. თუმცა, პოსტსაბჭოელებშიც უკვე ახალი თაობა წამოვიდა, რომელიც პირველად იყო საქართველოში და აქაურება მათთვისაც აღმოჩენად იქცა.

თბილისმა იმდენად კარგად უმასპინძლა ამ ტურნირს, შეჯიბრება იმდენად კარგად, იმდენად მაღალ დონეზე ჩატარდა, რომ შედგომთაგან წამოვიდა ინიციატივა, უახლოეს წლებში, არა ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატს, არამედ უფროსებს შორისაც ვუმასპინძლოთ. ვადაც კი დავისახელეს – 2020 წელი, თუმცა, სავარაუდოდ, ჩვენები მომდევნო სეზონებზე შეიტანენ განაცხადს – მოგახსენებთ, 2020-ში ტოკიოს ოლიმპიადა ტარდება და ჩვენს ხელისუფლებას სამბოსთვის არ ეცლება.

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია. ახლა მთავარია, ხელსაყრელი ვადის შერჩევაზე შიგნით შეთანხმდნენ საქართველოს სამბოს ფედერაცია და ქვეყნის ხელისუფლება, თორემ შედგომთაგან მხარდაჭერა გარანტირებულია.

მსოფლიოს ჩემპიონატი ჩვენთვის წმინდა სპორტული კუთხითაც წარმატებული გამოდგა. მართალია, საქართველომ გუნდური პირველობა ვერც ერთ ასაკში – ვერც გოგონებში და ვერც ბიჭებში ვერ მოიპოვა, მაგრამ მინაურ ჩემპიონატი 20 მედალი დაისაკუთრა, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი: 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 11 ბრინჯაო.

ასაკობრივად, ეს მაჩვენებლები ასეა განაწილებული: ჭაბუკებმა 11 ჯილდო ირგუნეს: 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 4 ბრინჯაო, ახალგაზრდებმა 9 მედალი – 2 ოქრო და 7 ბრინჯაო.

ჭაბუკებში უფრო ბიჭებმა იყოჩაღეს, რომლებმაც 7 მედალი მიითვალეს: 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო, გოგონებმა კი 4 მედალი მოიპოვეს – 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ბიჭებში ჩემპიონები ხაშურელი გიორგი მეხრიშვილი (48), ლენტეხელი ავთო მუკბანიანი (60) და ქუთაისელი გოჩა ღვაჩლიანი (87) გახდნენ, თელაველი მიხეილ ბახბახაშვილი (75) ფინალში დამარცხდა და მეორეზე დარჩა; მესამეზე ფოთელი ელიზბარ თურქია (56), ხაშურელი ნოდარ ბუხრიკიძე (65) და წყნეთელი ერეკლე ოძელაშვილი (70) გავიდნენ. გოგონებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები მცხეთელი ნათია კახობერაშვილი (40), საგარეჯოელი ანა უთურგაშვილი (52) და გორელი მარიამ მაზანაშვილი (56) გახდნენ, ბრინჯაო კი ქუთაისელმა ინდირა სილაგაძემ (65) მოიპოვა.

ახალგაზრდებმა, ჯამში, 9 მედალი დაისაკუთრეს: 2 ოქრო და 7 ბრინჯაო, აქედან 6 – ორივე ოქრო და 4 ბრინჯაო ბიჭების ნილად მოდის, გოგონებმა 3 ბრინჯაო ირგუნეს. ბიჭებში ჩემპიონები ზესტაფონელი გაგა ბახტიძე (68) და საგარეჯოელი ზვიად თევდორაშვილი (74) გახდნენ; მესამეზე ზესტაფონელი გოგა ვარდოსანიძე (52), თელაველი ოთარ ტალახაშვილი (57), თბილისელი საბა გრიგალაშვილი (62) და ახალციხელი ნიაზ დიასამიძე (100) გავიდნენ.

ამ ასაკში გოგონებში 5 მონაწილე გვყავდა, მათ ანგარიშზე სამი ბრინჯაოა, რომელსაც ახმეტელი ელისო სისაური (68),

## სპორტი

მცხეთელი სალომე მჭედლიშვილი (64) და ზესტაფონელი მარიამ ცერცვაძე (+80) დაეუფლნენ.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ბიჭები, ორივე ასაკში, მეორეზე გავიდნენ, ხოლო ჭაბუკთა ასაკის გოგონები კი – მესამეზე.

იქნებ ფედერაცია და გულშემატკივარიც სამინაო კედლებში ცოტა უფრო მეტსაც ელოდნენ, მაგრამ გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური ფაქტორი – შინაური კედლები სპორტში ხშირად არა დამხმარე, პირიქით, შემაფრეხებელიც კი ხდება. მით უფრო, ასაკობრივ ნაკრებებში, რადგან მოზარდებს აკლიათ გამოცდილება.

ჩვენებმა მსოფლიო ჩემპიონატი ოქროებით დაიწყეს და ოქროებითვე დაასრულეს. პირველივე დღეს, ჭაბუკებმა ორი ოქრო მოიპოვეს – მეხრიშვილმა და მუკბანიანმა, მეორე დღეს გამარჯვება, ახალგაზრდებში, ბახტიძემ იზეიმა, მესამე დღეს კი, ორივე ასაკში, თითო-თითო ოქრო ვირგუნეთ. ახალგაზრდებში ეს თევდორაშვილმა შეძლო, ჭაბუკებში – ღვაჩლიანი. ყველა მედალი კარგია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბოლო დღეს, ორივე ფინალში, რუსებს მოუვგეთ. საერთოდაც, რუსებმა ფინალებში მხოლოდ გოგონებში გვაჯობეს – სამი დასკვნითი პაექრობა წავაგეთ, ბიჭებში უპირატესობა ჩვენ მხარესაა. ჩვენებიდან რუსთან – ადამ უტიევათი, ფინალში, მხოლოდ თელაველი მიხეილ ბახბახაშვილი (75) დამარცხდა, ორმა მოუგო. ამთავანაც ღვაჩლიანი პირდაპირ დაანგრია და ნამდვილი თავდასხმა მოუწყო მსოფლიოს მარშანდელ ჩემპიონ ტარას ოსიპიუკს. არადა, რუსს სიმალეშიც გვარიანი უპირატესობა ჰქონდა, თუმცა ჩვენებურმა ეფექტური ილეთი დაუპირისპირა და რამდენჯერმე წამოიღო კისრულზე. თევდორაშვილმა უფრო მძიმე ბრძოლა გადაიხადა იგორ სუკობაროვთან და 2:1 მოუგო, ოღონდ ინიციატივასაც ფლობდა და ორივე ქულა ძალზე ეფექტური გდებებით აუღო.

მეხრიშვილმა ფინალში სომეხ დავით ჰოვსეპიანს აჯობა, მუკბანიანმა – ყაზახ ჩინგიზ ჟანდარაღის. თანაც ორივემ დამაჯერებლად იმარჯვა. ფინალში ბახტიძეც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა მინდოლ ურანბაიარ ოდგერელთან და თავიდანვე დაიბევა გამარჯვება 2 მომგებიანი გდებით, მეორე კი ტაქტიკურად იჭიდავა და გაფრთხილებებით ერთი ქულა დაკარგა: 2:1.


გოგონებიდან მსოფლიოს ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს გორელი მარიამ მაზანაშვილი იყო, რუს ეკატერინა სტიბერტთან სულ უტევდა და გაფრთხილებებით ქულაც დაიმსახურა, რამდენჯერმე სცადა სხვადასხვა ილეთი, მაგრამ ბოლომდე ვერ დაასრულა და სწორედ ერთ-ერთზე კონტრაქტც მოჰყვა... მთლიანობაში, გვაჩვენა, რომ იცის ჭიდაობა და ილეთების კეთება ეხერხება. ასევე აღსანიშნავია, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში, ვარდოსანიძის კარგი ჭიდაობა სომეხ მეტოქესთან – წმინდად მოუგო და ცერცვაძის დამაჯერებელი გარჯა მონდოლთან, რომელიც აბსოლუტურად გაანეიტრალა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ზესტაფონის სკოლის წარმატებაც, რომელმაც ამ ჩემპიონატზე სამი მედალი მოიპოვა და სამივე ახალგაზრდებში: ჩემპიონი ბახტიძეც და ბრინჯაოს მედალოსნები – ვარდოსანიძე და ცერცვაძე – იქაურები არიან.

# ისტორიული თამაშები საქართველოსთვის

ბუენოს აირესში მიმდინარე მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ყოველმხრივ წარმატებული აღმოჩნდა საქართველოსთვის. იმთავითვე, ამ სპორტული ფორუმის ისტორიაში, ჩვენთვის ყველაზე რეკორდული გამოდგა როგორც მონაწილეთა, ისე სპორტის სახეობების რაოდენობით – 10 სახეობაში 15 სპორტსმენი, ახლა კი შედეგებითაც ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა: წინა ორ თამაშებში 4 მედალი გვქონდა და არც ერთი ოქრო – 2-2 ვერცხლი და ბრინჯაო, ახლა კი უკვე 6 ჯილდოთი ვასრულებთ ამ დიდ სპორტულ ფორუმს – 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. რაც მთავარია, თამაშების ისტორიაში პირველი ოქროს მედალი მოვიპოვეთ.

ღმერთი სამობითო და ჩვენც მესამე ცდაზე, მესამე ოლიმპიურ თამაშებზე ავიღეთ ოქროს მედალი. ამ ისტორიულ შე-



დეგ სენაკელმა ბერძულ-რომაულად მოჭიდავე გიორგი ჩხიკვაძემ მიაღწია 60 კილოგრამში. ფინალში გამარჯვება მან პირველივე პერიოდში მოიპოვა, რადგან ამკარა უპირატესობით – 9:0 დაამარცხა ყირგიზი ელმირბეკ სადუროვი.

მანამდე ქვეჯგუფში ორი შეხვედრაც მოიგო. არადა, თავდაპირველად, მეტად პრინციპული პაექრობა ელოდა სომეხს საპა ჰოვანისიანთან, რომელიც წლეულს, მაისში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა. საბედნიეროდ, ამჯერად, რევენში შედგა და ჩხიკვაძემ საკმაოდ დამაჯერებლად – 3:1 დაჯაბნა ჰოვანისიანი. აი, ალჟირელ აჰმედ აბდელჰამიკ მერიკის გაცილებით იოლად, სუფთად მოუგო – ორი პერიოდის ჯამში 13:3 დაამარცხა.

ჩხიკვაძის გამოსვლამდე ოქროს მოპოვება ევროპის წლევიანდელ ჩემპიონს, ოზურგეთელ გიორგი თოხაძესაც (51) შეეძლო, ფინალში გავიდა და პირველი პერიოდი იაპონელ ვატარუ სასაკის 7:0-ც მოუგო, მაგრამ მეორეში 11 უპასუხო ქულა დაკარგა და 7:11 წააგო. ქვეჯგუფში ჩვენმა ფალავანმა მასპინძელ ედუარდო ლოვერას 6:0, ხოლო მარშალის კუნძულების წარმომადგენელ ალექსანდერ ადინივინს 8:0 მოუგო.

ქართველ მოჭიდავეებს მესამე ოქროს მოპოვებაც ძალუძდათ, ოღონდ ამჯერად – თავისუფალ ჭიდაობაში, ფინალში გავიდა გორელი გიორგი გეგელაშვილი (48), მაგრამ, სამწუხაროდ, 1:2 დამარცხდა უზბეკ უმიჯოვ ჯალოვთან. ქვეჯგუფში გეგელაშვილმა კოლუმბიელი პან ამერიკის მესამე პრიზიორი დიეგო არმანდო კუევას ზულუაგასთან და ნაურუელი დეიზიდ დეტუდამო დაამარცხა.

ოქროს მოპოვების კარგი შანსი დაკარგა ტყიბულელმა ძიუდოსტმა ილია სულამანიძემ 100 კილოგრამში, მან საბოლოოდ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. ქვეჯგუფში ორი შეხვედრა ვადამდე, იპონით მოიგო – ჯერ სლოვენელ როკ პოგორეჩთან, შემდეგ კი მასპინძლები დაამწუნრა, რადგან დამატებით დროში არგენტინელ ალესო ბურგოსსაც აჯობა.

სულამანიძეს ყველაზე ძლიერი მეტოქე ნახევარფინალში შეხვდა – ჭაბუკებში ევროპის წლევიანდელი ფინალისტი ომერ აიდინი, თუმცა მას საკმაოდ დამაჯერებლად, ვაზარით აჯობა და ფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ყაზახი ბეკარის სალუკა აღმოჩნდა. ეს შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა და მარათონული გამოდგა – 7.15 გაგრძელდა, საბოლოოდ გამარჯვება ვაზარით ყაზახს დარჩა.

ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ვერცხლი ძალსანმა არჩილ მაღაყაძემ (69) მოუტანა. მან ბუენოს აირესში 124 კილოგრამი აიტაცა, 154 – აკრა, ჯამში 288 კილოგრამი დააგროვა და ნი მხოლოდ თურქი მუჰამედ ფურქან ოზბეკი გაუგო – 305 კილოგრამი. მესამეზე მექსიკელი მაურიციო კრისტოფერ ფაკუნდო კანული გავიდა 283 კილოგრამით.

შეგახსენებთ, რომ ამ თამაშებზე ჩვენი დელეგაციის პირველი მედალოსანი ქუთაისელი ნინო ხუციბერაძე გახდა ტყვიის სროლაში, რომელმაც პნემატური პისტოლეტით იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (ამის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით). საინტერესოა, რომ მანაც, სულამანიძემაც და მალაყაძემაც ჯილდოები ერთ დღეს – 9 ოქტომბერს მოიპოვეს, იმ დღეს ჩვენმა დელეგაციამ ლამის იმდენი მედალი მოიპოვა, რაც წინა ორ თამაშებში – ერთად აღებული (4 მედალი).

ხუციბერაძემ, მოგვიანებით, საერთაშორისო წყვილთა ტურნირშიც იასპარეზა კანადელ ბრაიან კეილ კუქთან და ფინალში იქაც შევიდა, თუმცა პლეი ოფში პირველი წრიდან გამოვარდნენ. მხატვრულად ტანმოვარჯისე ქეთევან არბოლიშვილმა მე-10 ადგილზე დაასრულა გამოსვლა, ხუთჭიდეელი გიგა ხიჯაკაძე მე-19 იყო, ხოლო ჩოგბურთელი ანა მაქსაცარია ერთსულებშიც და წყვილებშიც ადრევე გამოეთიშა შეჯიბრებას.

ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს ახლა ჩვენგან 3X3 კალათბურთელები და უროს მტყორცნელი გიორგი კეკიშვილი შემორჩნენ. ტურნირის სტარტზე განცდილი საკალათბურთო ინციდენტის შემდეგ, როცა ჩვენებმა პირველ მატჩში სლოვენისთან თამაშზე დაავიანეს (რაც ბუენოს აირესის სატრანსპორტო ქაოსს დაბრალდა, ხოლო ჩვენებს ტექნიკური ნაგება ჩაეთვალათ), ქართველმა კალათბურთელებმა მომდევნო შეხვედრები აღმავლობით ჩაატარეს და პლეი ოფში გავიდნენ. მათ ქვეჯგუფში იორდანისა – 21:4, თურქმენეთს – 20:9, ქვეჯგუფიდან გასასვლელ დადამწყვეტ შეხვედრაში კი ჩინეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს 15:10 მოუგეს. ისინი მეოთხედფინალში მასპინძელ არგენტინას ხვდებიან.

დასასრულს, გეტყვით, რომ კალათბურთელებმაც ახალი ისტორია დაწერეს: ამ თამაშებში გუნდურ სახეობაში პირველად გამოვდივართ, თუმცა ისინი ამას არ დასჯერდნენ და აგერ, ახლა პლეი ოფშიც გავიდნენ.



